ხუთშაბათი 1919 წ. თებერვლის 6 № 28 ხუთშაბათი 1919 წ. თებერვლის 6 № 28

წელიწადი მეხუთე ფასი თბილისში კოოპერაციაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

**რ ე დ ა ქ ც ი ა**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

**კ ო ნ ტ ო რ ა**

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ საში თვით და ეღირება—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა **15—73**

სამსონ საშინოს ძე ასათიანი და შვილები მისნი: ედუსი, ვასასი, მარიამი, აგრაფინა, ეკატერინე, ბიქტორი, ალექსანდრე, ილია, დავითი და კონსტანტინე უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 30 იანვარს, ლეჩხუმში, სოფელს ბორდნალაში გარდაიცვალა მეუღლე პირველის და დედა დანარჩენების

**მარგალიტა (მაგატო) ოტია გარდაფხაძის ასული**

## ასათიანისა.

პანაშვიდი ყოველს დღეს. გამოსვენება და დასაფლავება კვირას, 9 თებერვალს, სოფ. ბარდნალას ღვთის მშობლის ეკლესიის სასაფლაოზე. (5—107—2)

ღრმად მწუხარებაში მყოფნი მშობლები: ეკატერინე და ნიკო, და ნინა, ძმები: ვლადიმერ და ერეკლე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათი საყვარელი შვილის და ძმის მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის, ბრძოლის ასპარეზზე გმირულად დაღუპულის

**გაბრიელ (გაგო) ოთხმეზურის**

სულის მოსახსენებლად ქ. ჭიათურაში გადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი 9 თებერვალს კვირას. (1—1)

გულდათუთქულნი მამა ივლიანე ცქიტიშვილი, ბიძეები კოწია, ბიქტორი და მიხა, ბებია ვარდი, ბიცოლა ანნა და მამიდა დონიკა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ მათი საყვარელი

## ალიოშა

დაიღუპა გმირულათ 30 იანვარს ახალციხის ფრონტზედ. დასაფლავება მოხდება 6 თებერვალს ხუთშაბათს ნაშუადღევის 2 საათზე. სოფელ საქარაში. 1—109—1

**ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი**

## „საქართველო“

1919 წ. წელიწადი მეხუთე 1919 წ.

გაზეთი თებერვლიდან წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5,) (ქართული ქარვასლა). ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამისთვის: თბილისი, „საქართველო“, ტელეფონი № 15—73.

**კონტორა ღიაა დილით 9—3 საათამდე.**

## ქართველო მებრძოლო

ქართველთა ლეგიონი იწვევს მოხალისეებს ახალციხეში მოღალატეების წინაამდეგ საბრძოლველად!

**მამულიშვილო,** ერთხელ კიდევ დავუმტკიცოთ მტრებს ქართველი ხალხის გმირობა.

**მოიყარეთ თავი ლეგიონის დროშის ქვეშ**

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა. მეორე ვაჟთა გიმნაზიის შენობა.

6—2079—3 ლეგიონის სარდალი ლეო კერესელიძე.

**ბორჯომის მიწის ეროვნულ ქარხანამ**

## განაახლა მუშაობა

**და იღებს დაკვეთას შემდეგი შუშებისას**

შუშები: კონიაკისა, ჩარექიანი, ბორდოსი და სხვა. შუშები: სამჩარექიანი, მურაბის ბანკები, აფთიაქის წამლების, გლიცერინა „ველიურ“-ის, ფეხსაცმლის საწმენდი კრემი და სხვა შუშები.

დაკვეთისთვის უნდა მიმართონ ბორჯომში ბორჯომის ეროვნული მამულების გამგეობას.

ბორჯომის ეროვნული ქონების გამგე ინჟინერი ხუნდაძე.

2049 1—1

ჩვენი კანდიდატები დამფუძნებელ კრებისთვის

# სია № 2

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა.**

1. ნიკოლაძე ნიკოლოზ (ნიკო) იაკობის ძე, პარლამენტის წევრი, საქართველოს დელეგაციის წევრი საზავო კონფერენციაზე.
2. კედია სპირდონ მალხაზის ძე, პარლამენტის წევრი, ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე.
3. ქიქოძე გერონტი დიმიტრის ძე, პარლამენტის წევრი, გაზ. „საქართველოს“ რედაქტორი.
4. გვაზავა გიორგი ბეჟანის ძე, ნაფიცი ვექილი, საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე.
5. თაყაიშვილი ექვთიმე სვიმონის ძე, პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
6. მაჭავარიანი იოსებ კონსტანტინეს ძე, ნაფიცი ვექილი, პარლამენტის წევრი.
7. ასათიანი ალექსანდრე სამსონის ძე, პარლამენტის წევრი, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
8. სურგულაძე პეტრე როსტომის ძე, ჟურნალისტი.
9. ამირეჯიბი შალვა გრიგოლის ძე, პარლამენტის წევრი, ჟურნალისტი.
10. ივანიცკი რაფიელ (რ. ინგილო) ალექსანდრეს ძე, პარლამენტის წევრი, იურისტი.
11. ლორთქიფანიძე იასონ მერაბის ძე, პარლამენტის წევრი, ამიერ-კავკასიის ბანკის გამგე.
12. გოთუა პართენ ალექსანდრეს ძე, სამეურნეო ბანკის დირექტორი, ქალაქის ხმოსანი.
13. მარგველაშვილი ტიტე თადეოზის ძე, ფილოსოფიის დოქტორი, მთავარი საერობო ინსტრუქტორი.
14. თორაძე ალექსანდრე დავითის ძე, ქუთაისის ქალაქის ხმოსანი, პარტიის საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარე.
15. ზურაბიშვილი ივანე ივანეს ძე, ნაფიცი ვექილი, საქართველოს დელეგაციის მრჩეველი.
16. წერეთელი ვასილი გიორგის ძე, პარლამენტის წევრი, ჟურნალისტი. ექიმი.
17. შევარდნაძე მიხეილ ირაკლის ძე, უფლების დოქტორი.
18. ჩიქოვანი ილია მანუჩარის ძე, ფინანსთა სამინისტროს საგანგებო რევიზორი.
19. ჯაყელი ნიკოლოზ იოსების ძე, ნავთის მრეწველი.
20. კეკელიძე კორნელი-დეკანოზი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
21. ხანანაშვილი იოსებ სოლომონის ძე, ჟურნალისტი, ქართველი ისრაელი.
22. წვერავა ნიკოლოზ ესტატეს ძე, თბილისის ხმოსანი, ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე.
23. ჯაფარიძე ტრიფონ მიხეილის ძე, ქუთაისის ეპარქ. გიმნაზიის დირექტორი.
24. მიქელაძე ვლადიმერ სიმონის ძე, ფინანსისტი. საზოგადო მოღვაძე.
25. ჯაფარიძე ლევან (ლელი) სიმონის ძე, ლიტერატორი.
26. თავდგირიძე ნიკოლოზ ყარამანის ძე, სამუნიციპალო მოღვაწე.
27. საყვარელიძე ალექსანდრე სიმონის ძე, ნაფიცი ვექილი, ქუთაისის საურთიერთო ბანკის თავმჯდომარე.
28. ვართაგავა იპოლიტე პეტრეს ძე, მწერალი, საკათალიკოსო საბჭოს წევრი.
29. ოცხელი იოსებ ივანეს ძე, ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი.
30. ყიფიანი ვასილ როსტომის ძე, სამეურნეო ბანკის თავმჯდომარე.
31. გორდეზიანი გიორგი პავლეს ძე, ნაფიცი ვექილი.
32. ფურადიშვილი ივანე ისაკის ძე, აზოვ-დონის ბანკის ქუთაისის განყოფილების მმართველი.
33. კვირკველია დავით ბესარიონის ძე, ნაფიცი ვექილი, ქართულ იურიდიულ საზოგადოების თავმჯდომარე.
34. დადიანი იოსებ იულონის ძე, ინჟინერი, ნავთის მრეწველი.
25. ძიძიშვილი ნოე სიმონის ძე, იურისტი, კომერსანტი.
36. მამულაიშვილი ლევან ქაიხოსროს ძე, იურისტი, ნავთის მრეწველი.
37. თუმანიშვილი პავლე იოსების ძე, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი.
38. პაპავა ბარნაბ ამბაკოს ძე, ინჟინერი შავი ქვის მრეწველი.
39. შეუნარგია იონა მიხეილის ძე, მწერალი, ზუგდიდის მაზრის ერობის ხმოსანი.
40. სულუხია მოსე ივანეს ძე, გერმანულ-კავკასიური ბანკის დირექტორი.
41. საბახტარაშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
42. ჯავახიშვილი (ადამიშვილი) მიხეილ საბას ძე, ჟურნალისტი.
43. ციცქიშვილი ვასილ მიხეილის ძე, მასწავლებელი.
44. ელიავა გრიგოლ ლავრენტის ძე, ექიმი, ბათომის ხმოსანი.
45. ქიტიაშვილი ზაქარია დიმიტრის ძე, ქიმიკოსი, გორის ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოების თავმჯდომარე.
46. ჟორდანია გიორგი თევდორეს ძე, ნაფიცი ვექილი.
47. დუმბაძე დიმიტრი მოსეს ძე, პედაგოგი, ჟურნალისტი, საქართველოს პრესბიუროს თავმჯდომარე.
48. ნასიძე ივანე აბრამის ძე, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
49. ბერელაშვილი ვასილ გერასიმეს ძე, მრეწველი, თბილისის საბჭოს ხმოსანი.
50. ედილაშვილი ზაქარია (ზ. ედილი) ერმოლოზის ძე, მწერალი.
51. მოსეშვილი ბართლომე პავლეს ძე, ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე.
52. მაჭავარიანი გიორგი ლუარსაბის ძე, ნოტარიუსი.
53. ხუსკივაძე თეოფილე იესეს ძე, ნოტარიუსი, ბელეტრისტი.
54. გველესიანი იოსებ იოსების ძე, ვაჭარი, ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის გამგეობის წევრი.
55. დადიანი ილია ილიას ძე, იურისტი, ზუგდიდის ქალაქის თავი.
56. ჯაიანი ბესარიონ ლევანის ძე, ბუღალტერი.
57. გუჯეჯიანი გიორგი სტეფანეს ძე, მასწავლებელი.
58. კალანდაძე დავით იაგორის ძე, პროვიზორი, ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის გამგეობის წევრი.
59. ბარათაშვილი გრიგოლ საჩინოს ძე, ნაფიცი ვექილი.
60. ახვლედიანი ვარლამ სოლომონის ძე, პროვიზორი.
61. მგალობლიშვილი ვასილ გიორგის ძე, ამიერ-კავკასიის ბანკის რწმუნებული ბათუმში.
62. კლიმიაშვილი ზაქარია მიხეილის ძე, თელავის გიმნაზიის დირექტორი.
63. გვალია მიხეილ ოტიას ძე, ნოტარიუსი, ზესტაფონის ქალაქის თავის მოადგილე.
64. გრიგოლაშვილი ალექსანდრე პლატონის ძე, კომერციის ინჟენერი.
65. გოგიტიძე გერმან იოსების ძე, ოზურგეთის ხმოსანი.
66. გამრეკელი ალექსანდრე ივანეს ძე, მრეწველი.
67. ჯავახიშვილი იასონ ვლადიმერის ძე, იურისტი.
68. ელიოზიშვილი კონსტანტინე მალხაზის ძე, ექიმი.
69. შალიბაშვილი გიორგი მიხეილის ძე, თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგი.
70. ტატიშვილი შალვა გრიგოლის ძე, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
71. ყუფარიძე ბარნაბ სოლომონის ძე, ქუთაისის ვაჭ.-მრეწველთა კავშირის გამგეობ. თავმჯდომ. ამხანაგი.
72. კასრაძე დავით ილარიონის ძე, იურისტი.
73. უნხაძე პავლე ნიკოლოზის ძე, ქუთაისის საურთიერთო ბანკის დირექტორი.
74. აბაშიძე გიორგი მინას ძე, პედაგოგი, მწერალი.
75. ხუნდაძე ლევან სილოვანის ძე, ჭიათურის ქალაქის გამგეობის წევრი.
76. გედევანიშვილი რევაზ ალექსანდრეს ძე, აგრონომი, სოფლის მეურნე.
77. ძებნიაური მიხეილ მათეს ძე, სოფლის მეურნე.
78. იაშნელი ზაქარია ნიკოლოზის ძე, პედაგოგი.
79. გვერწითელი გაბრიელ ივანეს ძე, ექიმი, გორის საერობო ხმოსანი.
80. მარუაშვილი მინა მალაქიას ძე, ექიმი.
81. ბებერიშვილი ამბროსი ბესარიონის ძე, გორის გიმნაზიის ინსპექტორი.
82. გამყრელიძე სამსონ იოთამის ძე, ახალსენაკის ქალაქის ხმოსანი.
83. ხერხეულიძე მიხეილ ზურაბის ძე, გაზეთ „ახალი ძალის“ რედაქტორი.
84. ჟღენტი ილარიონ მოსეს ძე, პედაგოგი.
85. კლიმიაშვილი ნესტორ მიხეილის ძე, ექიმი.
86. დალაქიშვილი ევგენი გიორგის ძე, მასწავლებელი მეურნე.
87. მგალობლიშვილი ვარლამ მიხეილის ძე, გორის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის საბჭოს წევრი.
88. უხურგუნაშვილი რაჟდენ სოლომონის ძე, გორის ქალაქის ხმოსანი.
89. კაიშაური ნიკოლოზ ანდრიას ძე, კოოპერატორი.
90. ჩიბალაშვილი ივანე თევდორეს ძე, სოფლის მეურნე.
91. შამანაური მიხეილ შიოს ძე, სოფლის მეურნე.
92. დათიაშვილი ბესარიონ ბესარიონის ძე, სოფლის მეურნე.
93. ბერძენიშვილი ივანე სიმონის ძე, ხელოსანი.
94. კეცხოველი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, არტილერიის ჯარისკაცი.
95. კვარაცხელია ლავრენტი თადეოზის ძე, ზუგდიდის ქალაქის ხმოსანი.
96. კიკნაძე ალექსანდრე ილიას ძე, სოფლის მეურნე.

## არტაანი და ოლთისი

უკანასკნელი ცნობების მიხედვით ჩვენმა ჯარმა ახალციხის მაზრაში დაამარცხა მოწინააღმდეგე და მათი გამაგრებული სოფლები გაანადგურა. მოსალოდნელია, რომ დაწყებული ოპერაცია ლოღიკურად განვითარდება და რამდენიმე დღის გამარჯვებაში მთელი ახალციხის მხარე ასკერების ბრბოებისაგან გაიწმინდება, ხოლო ადგილობრივი შეამბოხეები დამშვიდდებიან.

მაგრამ ახალციხის მაზრის დაწყნარება და გაწმენდა არ კმარა საქართველოს სამხრეთი საზღვრების უზრუნველსაყოფად.

ამ ორიოდე კვირის წინათ მთავრობის რწმუნებული ბ. ლ. რუხაძე იუწყებოდა, რომ ახალციხის მაზრის საბოლოოდ შესანარჩუნებლად აუცილებლად საჭიროა ფოცხოვის ხეობის დაჭერაც. მართლაც, ფოცხოვი ახალციხის მხარის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს, როგორც ეთნოგრაფიულად ისე სტრატეგიულად. ამას გარდა ამ კუთხის დაჭერა ახლა გამართლებული იქნებოდა ზნეობრივადაც, მიტომ რომ, ოსმალეთის აგენტებმა და მოღალატე ბეგებმა ის საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედების ბაზათ გადააქციეს.

მაგრამ ფოცხოვი ყარსის ოლქში შედის და მის შემოერთებას ლოღიკურად მთელი არტაანისა და ოლთისის ნაწილის შემოერთება მოჰყვებოდა. ამ ორ ნაწილში ქართველობა ცხოვრებთა რაოდენობის ნახევარს წარმოადგენს. ძველს ტაოკლარჯეთში ჯერ კიდევ ძლიერია ქართული ტრადიცია. ამიტომ მოსალოდნელია, რომ გამარჯვებული ქართველი ჯარის მსვლელობას ადგილობრივი მცხოვრებლები სერიოზულ წინააღმდეგობას არ გაუწევენ. პირიქით, უნდა ვიფიქროთ, რომ განსაკუთრებით გლეხობა დიდის თანაგრძნობით შეხვდება რესპუბლიკის ლაშქარს.

ჩვენ რამდენჯერმე აღვნიშნეთ, რომ აგრარული რეფორმა დიდს შემომკრებ ძალად გადაიქცა დაქსაქსული ქართული პროვინციებისთვის. ჯავახეთის გლეხთა ყრილობამ, რომელიც სამს თებერვალს ახალციხეში შესდგა, დაადასტურა ჩვენი შეხედულება. ჯავახეთში ქართული ელემენტი უფრო მცირე-რიცხოვანია, ვიდრე ახალციხის, არტაანისა და ოლთისის მხარეში. ამას გარდა ახალქალაქის მაზრა ძირეულ სომხურ პროვინციებს აკრავს. მიუხედავად, ჯავახეთის გლეხკაცობამ, თავის წარმომადგენლების პირით, თავისი-თავი „საქართველოს რესპუბლიკის ღვიძლ შვილად აღიარა“ და გადასწყვიტა, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში.

ჯავახეთისა და ახალციხის შემოერთებას არტაანისა და ოლთისის შემოერთება უნდა მოჰყვეს. ამას მოითხოვს დაწყებული სამხედრო ოპერაციების ლოღიკა.

## საარჩევნო კამპანია

II

სოციალიზმი ჰლალადებს მომავალ კაცობრიობის ბედნიერებაზე, როცა შრომა განთავისუფლებული იქნება კაპიტალის ბატონობისაგან, როცა მოსპობილი იქნება კერძო საკუთრება, როცა არ იქნება არავითარი გარჩევა ადამიანთა შორის, ყველა იქნება კმაყოფილი და ბედნიერი... როგორც ხედავთ, აქ სულ ბედნიერებაზეა ლაპარაკი, საყოველთაო სამოთხეზე. აბა ვინ იქნება ამის წინაამდეგი? რომელ გულს არ გაიტაცებს ამისთანა მოძღვრება, რომელ გონებას არ ალაფრთოვანებს იგი?

42

# უკანასკნელი ცნობები

დამფუძნებელ კრების გახსნის დღეს ბერლინში და ვეიმარში სპარტაკელთა გამოსვლას ელიან.

გერმანიის დამფუძნ. კრების 421 დეპუტატთა შემადგენლობა პარტიებად დაიყო.

შეთანხმება მოხდა გერმანიის ჯ.-კ-თა საბჭოსა და ბრემენის სახალხო რწმუნებულის, ხოლო მეორე მხრით ს.-დ. უმრავლესობის პარტიის შორის.

ფინლიანდიელთა და ესტონელ ჯარებმა დორპატიდან სამხრეთისკენ წინ წაიწიეს და წითელარმიელები დაამარცხეს. ბოლშევიკებმა ქ. ვინდავა აიღეს.

არგენტინასა და ინგლის-საფრანგეთ-იტალიის შორის შეთანხმება მოხდა არგენტინის მოსავლის შესყიდვის შესახებ.

ბრაზილიაში ჯარების მოსაწყობად საფრანგეთიდან ინსტრუქტორები გაგზავნა.

---

მაგრამ სწორედ ამ მომხიბვლელობაშია სოციალიზმის ერთგვარი საფრთხე. მოუმზადებელ გონებას ჰგონია, რომ ეს სამოთხე ადვილი მისაღწევია, რომ შეიძლება იგი ცალკე შეიქმნას, ეხლა გადასხვაფერდეს ცხოვრება და ქვეყნიერება, თუ ამას მოვისურვებთ, თუ მოვიწადინებთ, თუ დავაგროვებთ საკმარის ფიზიკურ ძალას. ამისთანა მოძღვრება პირველად იტაცებს იმათ, ვინც გაჭირვებულია, ვინც მაშვრალია და მოქანცული ცხოვრების ჭაპანწყვეტით და უკულმართობით.

არის ზოგიერთი ავადმყოფობა, რომლისაგან მოსარჩენად შხამი აუცილებელი წამალია. ზოგიერთ შხამს ექიმები უშხაპუნებენ ადამიანის ტანში და ამით არჩენენ იმას. ამისთანა შხამს ჰკიდებენ დიდ ბოთლზე და უშხაპუნებენ წვეთებით. აგრე ზომიერად მოხმარებულ შხამს დიდი სარგებლობა მოაქვს: იგი ჰკლავს სისხლში შავნე მიკროორგანიზმებს, სწმენდს და აცოცხლებს სისხლს და ჰმატებს სიმთელეს და ჯანმთელობას დასნეულებულ ორგანიზმს. მაგრამ შეაშხაპუნეთ დანიშნულ დოზაზე მეტი—და თქვენ მოსწამლავთ ადამიანს.

აგრეთივეა სოციალიზმის მოძღვრებაც. იდეა თავის უფლების და თანასწორობისა, რა საკვირველია, ძვირფასია და მისი გავრცელება—მისი შეშხაპუნება ეროვნულ ორგანიზმში მხოლოდ ააყვავებს და გაამაგრებს ჩვენს ეროვნულ ორგანიზმს. მაგრამ ეს დემოკრატიული იდეა არის და არა სოციალისტური. სოციალისტები ამას ზედ უმატებენ კერძო საკუთრების მოსპობას და ახალ ეკონომიურ ურთიერთობის დამყარებას.

გავიხსენოთ რა მოხდა რუსეთში. იქ დაიწყო სოციალისტური რევოლიუცია და მალე მოჰსწამლეს რუსეთის ეროვნული ორგანიზმი. ყველა თანასწორიაო და რკინის გზის უფროსად დანიშნეს ვიღაც მუშა-მეისრე, და ვიღაც უმეცარ ფერშალს დაუმორჩილეს ყველა სამედიცინო დაწესებულებანი: ყველა თავისუფალიაო და ყველამ თავისთავს მისცა ნება ჩაედინა ყველაფერი, რაც კი თავში მოუვიდოდა. ბურჟუაზია ჩვენი მტერიაო—და დაუწყეს ჟლეტა დიდსა და პატარას... და ბოლოს სამოთხის მაგიერ დაიხურა ყოველი ქარხანა, შეწყდა მუშაობა, ჩამოვარდა შიმშილი და ხალხი ჰსწყდება... დაამყარეს სამოთხე!

საქართველოს ეროვნული ორგანიზმიც დაავადებულია. მართალია, ჩვენ მეისრე გზების უფროსად არ დაგვიყენებია, მაგრამ სხვა უმაღლეს თანამდებობანი კი ბევრმა ისეთ პირმა იგდო ხელში, რომელსაც თავის საქმის არა გაეგება-რა, მართალია აგრეთვე, ჩვენ ბურჟუაზიის წარმომადგენელი ჯერ არ დაგვიხვრეტია, მაგრამ თავად-აზნაურებს კი ბევრს წავაჩეხეთ თავი: ქარხნები და ფაბრიკები, მართალია, ჩვენში არ დახურულა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენში არც კი არის ამისთანა წარმოება

დრო არ არი გამოფხიზლებისა?! ნუ თუ უნდა ვაცადოთ კიდევ სიმშილს და ეპიდემიას, რომ შევიგნოთ, თუ საით მიგვაქანებენ ჩვენი უკიდურესი სოციალისტური პარტიები?!.

**გიორგი გვაზავა.**

# პრესსა

**სომხების იზოლიაცია.**

უკანასკნელ დროს სომხების გაზეთებმა მოუხშირეს თავიანთ შეცდომების მონანიებას. ყოველი დღე არწმუნებს სომხებს, რომ ის იზოლიაციის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებდა დაშნაკციუტუნი საქართველოში და სომხეთში, საბედისწერო გახდა სომხეთის ხალხისთვის. ძლიერ პროტესტორის მოლოდინში სომხებმა მოასწრეს მეზობლების წაკიდება და საეჭვოა როდესმე აღადგინონ შემდეგში, კეთილმეზობლური განწყობილება.

გაზეთი „ჟოღოვურთ ძაინი“ ეხება ამ საკითხს და შემდეგს სწერს:

„უნდა შევსცვალოთ ჩვენი გარეშე პოლიტიკის კურსი, რათა შესაძლებელი იყოს გარეშე ქვეყნიდან საჭირო დახმარების მიღება. უნდა გამოიცვალოს ჩვენი პოლიტიკა, რასაც ჩვენი ხალხის ჭეშმარიტი ინტერესები მოითხოვენ ჩვენ მეზობელ ქართველებთან და თათრებთან. გარეშე მესამე ძალაზე დაყრდნობას მთელი ჩვენი მეზობლების მისწრაფებათა წინააღმდეგ დამღუპველი შედეგები მოუტანია და ასევე იქნება მომავალშიც. ჩვენი მოკავშირენი დაინტერესებული არიან, რომ ამიერ-კავკასიაში სუფევდეს მშვიდობიანობა და წესიერება და გახსნას ამიერ-კავკასიის გზები. ჩვენ ამ თვალსაზრისითაც უნდა გამოვცვალოთ ჩვენი გარეშე პოლიტიკა.

„საჭიროა ხელი ავიღოთ ავანტიურისტულ პოლიტიკაზე, უნდა ჩვენი მეზობლების მიმართ დავადგეთ საურთიერთო დათმობის გზას, მხედველობაში უნდა მივიღოთ ჩვენი ხალხის და სახელმწიფოს ეხლანდელი მძიმე მდგომარეობა. უნდა შევქმნათ დიპლომატიური დამოკიდებულება საქართველოსთან და აზერბეიჯანთან, დავნიშნოთ მათთან იმისთანა კაცები, რომლებიც შეეფერებიან ამ სახელმწიფოების სურვილს. ახლა ჩვენ წინ დგას ჩვენი ხალხის ფიზიკური არსებობის შერჩენის საკითხი“.

რასაკვირველია უდავოა, რომ ავანტიურისტულ პოლიტიკას, რომელზედაც გაზეთი სწერს, არას დროს სარგებლობა არ მოუტანია და დამღუპველი ყოფილა, მაგრამ საკითხავია რამდენათ გულწრფელია სომხებისგან ცოდვების მონანიება, ან რამდენათ გამოხატავს გაზეთი „ჟოღოვურთ ძაინი“ სომხების მართველების პოლიტიკას?

სომხებს ძალიან გამოცდილი ავანტიურისტები ჰყავთ და არც იმედია მათ ძველი გზა დასტოვონ, ყოველ შემთხვევაში საეჭვოა, რომ შინაური ძალებით მოახერხონ ავანტიურისტების თავიდან მოცილება, მახამდი კი სომხების პოლიტიკა საქართველოს და სხვა მეზობლების წინააღმდეგ იქნება მიმართული და ამის შედეგი კი ყოველთვის სომხების იზოლიაცია იქნება.

# მთავრობის წრეებში

იანვრის 23 სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

— ტფილისის საპატიმროები დაექვემდებაროს ტფილისის გენერალ გუბერნატორს რომელსაც მიენიჭება ყოველგვარი უფლება საპატიმროების დასაცავად და წესრიგის დასამყარებლად; გენერალ გუბერნატორს უფლება ეძლევა აგრეთვე ყველა მოსამსახურეთა გარდა ინსპექტორებისა, მიღებისა და დათხოვნის.

— გადიდებულ იქნას რკინის გზაზე სამგზავრო და საბარგო მატარებლის ყველა ტარიფი. გაუქმებულ იქნას ყველა შეღავათიანი ტარიფი. ეს კანონ-პროექტი წარედგინოს პარლამენტს განსახილველად.

იანვრის 25-ს სხდომაზე დადგენილია:

— მთავრობის საქმეთა მმართველს გაეხსნას ათ მილიონიან ფონდიდან 1500 მ.

— მიეცას ფოსტის და რკინისგზის ყველა მოსამსახურეებს განახლებული ჯამაგირები იანვრის 1-დან.

— მომავალ სახელმწიფო ბანკის დაარსების და მისი წესდების პროექტი მიღებულ იქნას და წარედგინოს პარლამენტს განსახილველად.

— ნება მიეცეს მიწათ-მოქმედების მინისტრს 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებამდე. მისცეს ტფილისის ბატანიკურ ბაღის მუშებსა და მებაღეებს ჯამაგირად: მუშებს 325 მან. თვეში, უფროს მუშას 400 მან., მებაღის თანაშემწეს 450 მან., მებაღეს 500 მან. და უფროს მებაღეს 550 მანეთი.

— გადადებულ იქნას სახელმწიფო საჯინიბოს შესანახად გაწეული ხარჯების დასაფარავად 80,100 მან., სამინისტროსთვის ნება დართულ კრედიტის ნაშთიდან.

— საქართველოს დამოუკიდებლობის დღემდე, ე. ი. 1918 წლის მაისის 26-მდე სასამართლოს დაწესებულებებში დაწყებული ყველა საქმე: როგორც ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას საჩივრით ისე მის წინააღმდეგ, აგრეთვე ზემოხსენებულის რკ. გზის გამგეობას ყველა საქმე, რომელიც ფულის გადახდას შეეხება - შეჩერებულ იქნას იმ დრომდე, ვიდრე ამის შესახებ ცალკე განკარგულება გამოიცემოდეს.

— შეჩერებულ იქნან სასამართლო დაწესებულებებში წარმოებული საქართველოს რკინის გზის გამგეობის და გამგეობის წინააღმდეგ ყველა საქმეები, რომელიც დამყარებულია 1918 წლ. მაის ს 26-მდე მომხდარ ამბებზე, აგრეთვე შეჩერდეს ამ გვარივე საქმეებიდან წარმომდგარი ფულის გადახდევინება.

ეთხოვოს იუსტიციის მინისტრს სისრულეში მოიყვანოს ეს დადგენილება.

**მიწათ მოქმედების სამინისტროს ცნობა.**

მიწათ მოქმედების სამინისტროში ცნობები მოდის, რომ ზოგიერთი მემამულეები, რომ გაყიდონ თავიანთი მიწები და ამითი დაიფარონ ისინი კონფისკაციიდან შემდეგ ზომებს მიმართავენ; მყიდველს აძლევენ გაყიდვის ან რომელიმე სხვა აქტს, რის შემდეგ მყიდველი ასაჩივრებს ამ აქტს. გამყიდველი სცნობს ამას კანონიერად, რასაც შედეგად მოჰყვება ის, რომ სასამართლო მყიდველს ეკუთვნის უკანონოთ ნაყიდი ქონება. ვინაიდან ასეთი მოქმედებით კონფისკაციის კანონი ვერ იქნება სისრულეში მოყვანილი და ხდება დანაშაული, რის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლაა საჭირო, ამიტომ მიწათ-მოქმედების სამინისტრომ აცნობა ცენტრალურ სამიწათმოქმედო მმართველობას წინადადება მისცეს ყველა სამაზრო სამიწათმოქმედო მმართველობას.

1. დაუყონებლივ შეატყობინონ სასამართლოს ასეთი დადგენილებით მიწის კერძო საკუთრებათ გადაცემაზე და მათ კონფისკაციის შეუძლებლობაზე.

2. 1917 წლის 1 იანვრიდან დაწყებული გადასინჯულ იქნას ყველა სასამართლოებში მიწის კერძო საკუთრების გადაცემის საქმეები და გამოკვლეულ იქნას არის თუ არა ასეთი საქმეები, როცა მემამულე უკანონოთ აძლევს მეორე პირს მიწის საკუთრების უფლებას; ასეთი გამოძიების შედეგი და ყოველნაირი საეჭვო საქმეები აცნობონ მიწადმოქმედების სამინისტროს აგრარულ კომისიას.

3. მიღებულია თუ არა ზომები რომ აცნობონ სოფლებს მემამულეთა მიერ საკონფისკაციო მიწების მეორე პირზე გადაცემის მნიშვნელობა და შედეგებზე ასეთი საქციელისა.

# ბრძოლა ფოცხოვთან

ვგონებ ძველი მესხეთის არც ერთი გოჯი მიწა არ არის სისხლით მოურწყველი. განსაკუთრებით კი ის მიდამოები, სადაც 30 იანვარს მოხდა დიდი ბრძოლა, ისტორიულად მუდმივი ომის, სისხლისღვრის და დამარცხება-გამარჯვების ადგილებია. ძველი ათაბაგები თორნიკე ერისთავი და ოსმალეთის მხედრობის საუკეთესო ძალები მუდამ აქ ჯაყისმანის ყელში და ქვაბლოვანის მიდამოებში ეკვეთებოდენ ერთმანეთს. აქ საქართველოს გასაღები კარებია. დაეცემა ახალციხე-აწყური და ამით მუდამ შიშს ქვეშ იქნება შიდა ქართლი, ვინაიდან მას მოდარაჯეთ მტერი ეყოლება. ისტორიულად, ვისაც მესხეთი ეპყრა ხელთ, ის იყო მესაჭე ქართლისა და ყოველი მხრიდან რკალათ შემორტყმული თბილისი არა ერთხელ გაუხდიათ იძულებული, ქედი მოეხარა უცხო ძალის წინაშე.

ამას კარგათ გრძნობდა ის ახალგაზრდობა, რომელნიც 30 იანვარს ეკვეთა ფოცხოვიდან მოზღვავებულ მტერს და ბევრმა, ბევრმა ჭაბუკმა თავისი სიცოცხლე შესწირა ამ ისტორიულ ბრძოლას.

მკითხველო, შენ არ იცი სად ხდება ეს ბრძოლა, როგორია ეს მიდამოები. იქნებ ოდესმე მოხვიდე აქ და გაიხსენო ბრძოლაში დაღუპულები. გაიხსენე ჩვენი გზაც, ჩვენი სისხლით შეღებილი მიდამოები და ამბავი, რომელსაც მე მოგითხრობთ:

ჩვენი ჯარი ხუთი-ექვსი დღის წინეთ დაბანაკდა ქვაბლოვანის მიდამოებში. თვალწარმტაცი მიდამოებია. თოვლით თავ წახვეული კორდები, ყინულით დაფენილი ფერდობები და თოვლისაგან თეთრათ წავარცხნილი ნაძვნარები, თითქო ჭაღარა მოხუცნი სდგანან და მათ კი ეთამაშება მზე, რომელიც ათას ფერადებით ხატავს მიდამოებს. გგონია, რომ სინემატოგრაფში ხარ და შენ თვალწინ კი ეკრანზე მიფრინავს დაუსრულებელი სურათები უცხო ბუნებისა, რომლის ყოველ ხაზში ხედავ თავისებურ სილამაზეს. ამ ბუნებაში კი აქა-იქ გამოიყურებიან ძველ მებრძოლთა კოშკები. ეს ციხეების ნანგრევებია. ათასი ლეგენდებია შექმნილი ხალხში ყოველ მათგანზე, მაგრამ ყოველ მათგანს აწერენ თითქმის მარტო თამარს. ვინ იცის ამ ნანგრევთა შორის რამდენი სიცოცხლე დამჭკნარა მის დასაპყრობათ!..

ყოველი ჯარისკაცი დაინტერესებულია, ამ მისთვის უცხო, მაგრამ მშობლიურ მხარით. ქართული სოფლები, დარბაისლური ქართული ენა და ზნეჩვეულებები ძალა უნებურათ გიზიდავენ ყოველ მიწურ ქოხში და თითქო დიდიხნის უნახველი მამა შვილნი სალამით და ხარხარით ხვდებიან ერთმანეთს.

ფოცხოვის რაიონში დიდი ხანია თავს იყრიდნენ ოსმალთა აფიცრების ხელმძღვანელობით არტაანის ოლქის მუსულმანები. მათ შორის მრავალია ასკერები, რომელნიც სამშობლოში არ ბრუნდებიან. როცა ოსმალეთმა ახალციხე-ახალქალაქი დასცალა, ხალხში აურიგებელი მოსყიდული პირები და იარაღი დასტოვა. ამბობენ, რომ ოსმალეთის სარდლები ფულსაც ბლომათ უგზავნიდნენ თავის აგენტებს ახალციხეში. მათ იმედი ქონდათ, რომ შინ ხალხს აგვიჯანყებდენ და ამით ისარგებლებდნენ. რაკი ეს ვერ შესძლეს, მიმართეს ისევ თავდასხმის საშუალებას. პირველათ გადმოლახეს საზღვრები და სანაპირო რაზმი ამოგვიხოცეს. გვეშინოდა გაბრაზებულ ჯარს მაშინ ჯავრი არ ეყარა მცხოვრებლებზე, მაგრამ შეგნებამ სძლია გრძნობას. გვინდოდა საქმის მშვიდობიანათ მოგვარება. ჩვენს მთავრობას ხომ არავითარი აგრესიული მიზნები არ ქონია აქ, არც გვიფიქრია ბრძოლით არტაანის ოლქის დაჭერა. მაგრამ არაფერმა არ გასჭრა. 30 იანვარს მტერმა ისევ იწყო შემოტევა. მოთმინების ფიალა აივსო. განა შეიძლება მეტი მოითმინო, როცა თავს გესხმიან და შენს ოჯახში მოიჭრებიან ისინი, ვინც საუკუნოების განმავლობაში აოხრებდა ამ კუთხეს?!.

ცეცხლით აენთო თვალები ჯარის კაცებს. პირველათ ეკვეთა მტერს ქართული ლეგიონი. თითქო ქეიფში მიდიოდნენ მიიჭრებოდნენ ბრძოლაში ანწლის ტანის ყმაწვილები და შეაკვდნენ მტერს. აჭარელი, ბორჩალოელი მუსულმანები და ქართველები, ყველანი ერთნაირად, ყველანი ერთგულათ მიიწევდენ მტრის წინააღმდეგ და ერთხელაც არ შემდრკალან ურიცხვი მტრის წინაშე. ბევრი დაეცა აქ უსულოთ, ბევრს დააჭკნა მომღიმარ ტუჩებზე სამშობლოს სიყვარული და იმ მიდამოებში, სადაც გუშინ შეხაროდენ მომავალს და მესხეთის აღდგენაზე ფიქრობდენ, დღეს გაეჭრათ ცივი საფლავი.

აი დაჭრილები, 18 19 წლის ჭაბუკები, სისხლში, გასვრილი მებრძოლები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ უცქერის ჭრილობას, არამედ ბრძოლის ველს უყურებენ, სადაც ცეცხლი ანთია და დარჩენილი მებრძოლები განაგრძობდენ ერთხელ არჩეულ გზას.

მტერს შეაკვდა ლეგიონი და ყველა მისი აფიცრები, ორს გარდა, ბრძოლაში დაეცნენ. დამსხვრეული რაზმი თავს იყრიდა და მტრისთვის კი მაინც ერთი ციდა მიწა არ დაუნებებია. სახელი და დიდება დაღუპულ ამხანაგებს, რომლებმაც აქ, ძველ მესხეთში თავისი სისხლით საძირკველი ჩაუყარეს განახლებულ საქართველოს განმტკიცებას.

ობოლი საფლავები თავდადებულ მებრძოლთა მოუთხრობენ მომავალთ მესხეთის ტრაგედიას და მისი განახლებისთვის თავდადებულთ თავის გულში საუკუნო ძეგლს აუგებენ.

(„განახ. მესხეთი“)

# ინგლისელების მისია საქართველოს და მოხალისეთა ლაშქრის შესახებ.

საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართ. რესპუბლიკისა მიმართა 29 იანვარს ინგლისის მისიის თავმჯდომარეს ამიერ კავკასიაში საგანგებო წერილით, რომელშიც აცნობებს, რომ სოჭის ოლქში დაბანაკებული სამხედრო ძალები მოხალისეთა ლაშქრისა საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ არ იქნება მიმართული.

3 თებერვალს საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე მიღებულია შემდეგ შინაარსის წერილი ბრიტანეთის ძალთა ამიერ კავკასიაში მყოფ მთავარ სარდლისაგან: „მთავარ-სარდალი ბრიტანეთის ძალების ამიერ-კავკასიაში მომანდო მე ვაცნობო თქვენ აღმატებულებას რომ ბრიტანეთის მთავრობამ აცნობა გენ. დენიკინს, რომ მან უნდა დაიცვას ხელშეკრულობა საქართველოს მთავრობისა და მოერიდოს მის შინაურ საქმეებში ჩარევას. მე მწამს რომ ეს ცნობა ამ საკითხის შესახებ, რომელზედაც მე მწერდით საკმარისია თქვენს დასარწმუნებლად“.

# ქრონიკა

**ჯილდოები ხელოვნებისათვის** მთავრობის დადგენილებით ყველა იმ პირთ, რომელნიც ხელოვნების წინაშე დაიმსახურებენ რაიმე შესანიშნავ ღვაწლს მიეცემათ ჯილდოთ განსაკუთრებული ნიშანი, რომელზედაც გამოხატულია ქნარი და საქართველოს ეროვნული ღერბი. პირველი ასეთი ჯილდო სახელმწიფო თეატრში მიიღო მომღერალ ქალმა საბანეევამ.

**სახადი სომხეთში** ოფიციალურ ცნობით სასომხეთში სახადით ავადმყოფებისა $8_0/^0$—$10_0/^0$ იხოცება.

**ამ დღეებში ბაქოში გაიგზავნება** საგანგებო მატარებელი სპარსეთის ქვეშევრდომ სომხებით.

**ა. სააკიანი სპარსეთის ელჩთან** 4 თებერვალს სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარემ ა. სააკიანმა იხახულას სპარსეთის ელჩი და დიდი ხნის საუბარი ჰქონდა.

4 თებერვალს სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარე სააკიანი ინახულეს ამერიკის სამხედრო მისიის წევრებმა, რომელნიც ჩამოვიდნენ ბაღდადიდან თავრიზის და ბაქოს გზით. საგანი საუბრის იყო სომეხ-ლტოლვილების მდგომარეობის გაუმჯობესობა.

**8 საათის სამუშაო დღე რკინის გზებზე.** საქართველოს რკინის გზების უფროსმა კანდელაკმა აცნობა რკინის გზის ყველა გამგეობებს, რომ თანახმად შრომისა და გზათა სამინისტროების დადგენილების. 1 თებერვლიდან რკინის გზებზე შემოღებულ უნდა იქნეს 8 საათის სამუშაო დღე.

**გაძარცვა.** 5 თებერვალს, ვაკეში, ჭიჭინაძის სახლში მცხოვრებ ჟორდანიამ განუცხადა თბილისის ქალაქის მილიციის უფროსს, მისი სახლში არ ყოფნის დროს 15 ინგლისელმა ჯარისკაცმა გაიტანეს მისი სახლიდან ყოველივე ნივთები რაც კი სახლში მოიპოებოდა.

**სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, საღამოს 6 საათზე, სასახლეში დანიშნულია სახალხო უნივერსიტეტის ქართველ ლექტორთა კრება ფრიად მნიშვნელოვან საკითხების განსახილველათ. ყველას დასწრება სავალდებულოა.

**გაზ. „განახლებული მესხეთი“** კვირას 2 თებერვალს ქ. ახალციხეში გამოვიდა გაზ. „განახლებული მესხეთი“ ორგანო ახალციხის მაზრის მიწის მუშათა საბჭოსი ოსმან შავყიეფენდი მიქელაძის და ლ. რუხაძის რედაქტორობით.

**თბილისის გარნიზონის სამხ. ექიმის თანაშემწეთა კრება.** კვირას 9 თებერვალს დღის 1-ლ საათზე ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში პუშკინის ქ. № 10 მოხდება თბილისის გარნიზონის სამხედრო ექიმის თანაშემწეთა და თბილისში მცხოვრებ სამოქალაქო ექიმის თანაშემწეთა გაერთიანებული კრება, რომელზედაც განხილული იქნება საჩქარო საკითხები, მომხსენებლებად იქნებიან: კოვალიშვილი, ივ. საათაშვილი, ხეცაძე, ხამეტაშვილი, ძიძიშვილი და სხ.

# სამხატვრო ქრონიკა

**მეოცნებე ნიამორები.** ქუთაისში გამოვიდა ლიტერატურული ალმანახი „მეოცნებე ნიამორები“. 1 პოეზია: გრ. რობაქიძე—უალდი პარიჟში; პაოლო იაშვილი—ოფელიას ორდენის კავალერს; ვ. გაფრინდაშვილი—მისტიური მარულა; ტიციან ტაბიძე—პეტერბურგი; კოლაუ ნადირაძე—ივანე მაჩაბელს; შალვა კარმელი—დამის ფრაგმენტი; რაჟ. გვეტაძე—ავტოპორტრეტი; შ. აფხაიძე - ქარვის სონეტი; გრ. ჯაფარიძე—Requiem. 2. მხატვრული პროზა: ალ. ცირეკიძე ლაია. 3. კრიტიკა: ვ. გაფრინდაშვილი—სონეტის პრობლემა. შ. აფხაიძე—ქართული პოეზიის პერსპექტივები. ალ. ცირეკიძე—მინიატიურა. 4. მხატვრული მატიანე: ქრონიკა და ბიბლიოგრაფია.

# პროვინციის ცხოვრება

**სტეფანწმინდა**

სტეფანწმინდას დიდძალი ლტოლვილობა მოაწყდა. მათი სიტყვით კავკავი დიდ გაჭირვებაში ყოფილა.

**სენაკი**

სენაკის მაზრაში ათი ცნობილი ყაჩაღი თარეშობს.

**ზუგდიდი**

მილიციამ ცნობილი ყაჩაღი კორცხია დააპატიმრა.

**სიონი**

ავაზაკებმა გაძარცვეს ადგილობრივი მცხოვრები ივანე მორჩაძე.

**მანგლისი**

მანგლისის, ალბულაღის და თრიალეთის რაიონებში ყაჩაღთა ორგანიზაციაა რამოდენიმე ასი კაცისაგან შემდგარი. შიშის ზარს ჰსცემს დასახლებულ რაიონების მცხოვრებთ. 21 იანვარს შეტაკების დროს მოუკლავთ შტაბ. კაპ. მეტრეველი. სამხედრო მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ ბრძო ალაგმულ იქმნას.

# არჩევნების შედეგი

**სურამი**

ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა გაიყვანეს 14, ეროვნულ-დემოკრატებმა 1, უპარტიოებმა 5.

**ყვირილა**

ეროვნულ-დემოკრატებმა გაიყვანეს 5, სოციალ-დემოკრატებმა 13, სოც.-ფედერალისტებმა 1, დამოუკიდებლებმა 1.

# საყურადღებო ციფრები

საქალაქო არჩევნები საქართველოში თითქმის დასრულდა ცოტაოდენი გამოკლებით. შედეგი დიდად საყურადღებოა. ეროვნულ-დემოკრატია თანდათან იზრდება და მაგრდება. იგი იხვეჭს ხალხის სიმპატიებს და ნდობას. ჯერ-ჯერობით ცნობები გვაქვს სულ 13 ქალაქიდან, რომელთა საბჭოებში საერთოთ 343 ხმოსანი იყო ასარჩევი. აქედან ჩვენ წინა წელში გვყავდა მხოლოთ 23 ხმოსანი, რაც უდრის 6,7 პროც.-ს

წელს კი გავიყვანეთ 54 ხმოსანი ე. ი. 16 პროც.

ნუ დაგვავიწყდება რომ ზოგიერთ ქალაქებში, როგორც მაგ. ქუთაისსა, ფოთსა და ზუგდიდში არჩევნები არ მომხდარა. მოსალოდნელია, რომ არჩევნების შედეგი ამ ქალაქებში ზემო მოყვანილ პროცენტულ და აბსოლუტურ რაოდენობას კიდევ უფრო გაადიდებს.

# სამღვთო სჯულ. შესახებ

**მცხეთის ეპარქიის მე-II ოლქის სამღვდელოების დადგენილება.**

„კრებამ იქონია რა მსჯელობა საქართველოს პარლამენტში სამღრთო სჯულის განდევნაზედ სკოლებიდან და გაითვალისწინა რომ მთავარ საბუთად მოჰყავთ ის, რომ სამღრთო სჯულის მასწავლებელს არ უნდა ეძლეოდეს ჯამაგირი სახელმწიფო ხაზინიდან, დაადგინა: ვინაიდგან მთავარი დაბრკოლება სასყიდლის ძლევაშია მასწავლებლებისადმი ამისთვის სამღვდელოება კისრულობს სამღვთო სჯულის უფასოდ სწავლებას სასწავლებლებში წინააღმდეგ შემთხვევაში არა გზით არ იქმნეს მოსპობილი იგი ხალხის დაუკითხავად“.

საბჭოს თავმჯდომარე მღ. ს. ტყემალაძე.

# ბათომის ამბები

**ქალაქის თავის მოკვლის განზრახვა**

ბათუმიდან სამი თებერვლის თარიღით იტყობინებიან: ვინმე კირისაროღლიმ განიზრახა ქალაქის თავის ჯახიშვილის მოკვლა. მიზეზი გამოურკვეველია. ამის გამო, ქალაქის საბჭომ თანაგრძნობა განუცხადა ქალაქის თავს და აგრეთვე ბ-ნ მუატს, რომელიც საოლქო ადმინისტრატიული საბჭოს მიერ უსამართლოდ გადაყენებულ იქმნა სასურსათო მართველობის თავმჯდომარის თანამდებობისაგან.

**[ტფი]ლისელ-გენერალ-გუბერნატორი და [სამა]ჰმადიანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი**

[გა]სულ პარასკევს სამაჰმადიანო საქართველოს განმათავისუფლებელმა [კო]მიტეტმა განიზრახა სოფ. ქედაში [გა]ემართა მიტინგი და ადგილობრივ [მცხ]ოვრებთათვის გაეცნო დღევანდელი პოლიტიკური ვითარება, მაგრამ [ეს] შესდგა, რადგან ბათუმის გენ.-გუბერნატორის მიერ საგანგებოდ გაგზავნილმა ოფიცრებმა უკან დააბრუნეს [კო]მიტეტის წევრები.

ამ ინცინდენტის გამო გენერალ-გუბერნატორი ინახულა საქართველოს [პა]რლამენტის წევრმა მაჰმედ სანჯაყბეგის შვილმა აბაშიძემ, რომელსაც [გუ]ბერნატორმა განუცხადა, რომ ნება [ყოვ]ელთვის შეუძლებელია ხალხის [კრ]ების მართვა.

რაც შეეხება „სამაჰმადიანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს", გენერალ-გუბერნატორმა განაცხადა, რომ არაფერი არ იცის, ამ [კო]მიტეტის არსებობის შესახებ.

კომიტეტის წევრებს განზრახვა [აქ]ვთ ამ მოკლე ხანში ისევ გამართონ [მი]ტინგი, გენერალ-გუბერნატორის [ნებ]ართვით.

# განცხადება

**ქ. თბილისის და მისი მიდამოების გენერალ-გუბერნატორის.**

ვაცხადებ ყველას საყურადღებოდ, რომ თანახმად საგუბერნიო საერთო დაწესებულებათა დებულების 23 მუხლის, მე-19 დამატების მე-4 პუნქტისა (ტომი მე-II, გამოცემა 1892 წ.) სამჯავროს საერთო წესიდან ჩემ მიერ გამოყოფილი იქნება საქმეები ისეთ დანაშაულობათა შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია მე-29, 29[1], 30, 31[1], 42, 42[1], 45[1], 63 და 72 მუხლებში დებულებისა, იმ სასჯელთა შესახებ, რომელთაც სწყვეტენ მომრიგებელნი მოსამართლენი, 1912 წ. დამატ. მის.

საქმეები ასეთ დანაშაულთა შესახებ გადაწყდებიან ჩემ მიერ ადმინისტრატიულის წესით.

გენერალ-გუბერნატორი შ. მაღლაკელიძე.

31 იანვარი 1919 წ: ქ. თბილისი.

# გენ.-გუბ. სავალდებულო დადგენილება

აკრძალულია: 1. ბოროტ განზრახვით ფასების გადიდება სურსათისა და პირველი საჭიროების საგნებზე, აგრეთვე ბოროტ-განზრახვით ამ საგნების ვაჭრობის შემოკლება-შეჩერება.

2. მუშაობის შეწყვეტა ისეთ დაწესებულებებსა და სამრეწველოებში, რომელთა მოღვაწეობაც საზოგადო კეთილდღეობის და წესრიგისთვის აუცილებლად საჭიროებაა.

3. დაზიანება განათების გზების და საზოგადო დაწესებულებებში, აგრეთვე გაფუჭება გზებისა და მიმოსვლის საშუალებათა, როგორც მაგ. ქუჩების, გზა ტკეცილების ტრამვაის, საზოგადო სახმარ ეტლების და სხვ. აგრეთვე ამათი სარგებლობის ბოროტ-განზრახვით შეფერხება.

4. შეუსრულებლობა მილიციის განკარგულებას ა) შესახებ სამეურნეო პროდუქტებისა და პირველი საჭიროების საგნების ქ. თბილისში დაუბრკოლებელი შემოზიდვის უზრუნველყოფისა და აგრეთვე ამ საგნების ჩარჩენისა და წინასწარ შესყიდვისა და მით მომხმარებელთა განზე დატოვების თავიდან აცილებისა.

ბ) შესახებ საზოგადოებრივი ცხოვრების სწორი მიმდინარეობისა და მშვიდობიანობისათვის საჭირო წესრიგის დაცვისა.

5: დემონსტრატიულ - თავხედური გამოსვლები სახელმწიფო თანამდებობის პირთა და მილიციის მოხელეთა წინააღმდეგ.

ამა სავალდებ. დადგენილების დარღვევის ანუ შეუსრულებლობისათვის დამნაშავენი დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით დაპატიმრებით 1-6 თ. წლამდე და დაჯარიმებით 10,000 მან. სავალდებულო დადგენილება შედის ძალაში დღიდან მისი „გაზ. საქართ. რესპუბლიკაში გამოცხადებისა თებერვლის 3.

გენერალ-გუბერნატორი შ. მაღლაკელიძე.

# ჯავახეთის გლეხთა ყრილობა

(საქართველოს დეპ. სააგ.)

ახალციხე, თებერვლის 3. დღეს 2 თებერვალს ნაშუადღევის 2 საათზე გაიხსნა ჯავახეთის გლეხთა სამაზრო ყრილობა. დაესწრო 138 გლეხი დელეგატი. თავმჯდომარეთ აირჩიეს ექვთიმე მიქელაძე, ამხანაგებათ: რამიშვილი და ტერ-სტეპანოვი, მდივნებათ ჩხენკელი და ანანიაშვილი. დღის წესრიგშია შემდეგი კითხვები: მომენტი, აგრარული რეფორმა, დამფუძნებელი კრება, ერობა და ლტოლვილთა საკითხი. მომენტზე მოხსენებას აკეთებს ლეო რუხაძე. კამათის შემდეგ მომენტზე მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „ჯავახეთის გლეხკაცობა, როგორც ღვიძლი შვილები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა, იზიარებს რა სავსებით მთავრობის დემოკრატიულ პოლიტიკას, მიაჩნია ის თავის ერთად ერთ დამცველად და მთელი ძალ-ღონით მხარს დაუჭერს მთავრობას რესპუბლიკის განმტკიცების საქმეში.

ამხანაგ დავითიანცის სიტყვას, რომელმაც აღნიშნა საქართველოს რესპუბლიკის დიდი ღვაწლი თავისუფლების დამკვიდრების და ეროვნებათა შორის ხოლიდარობის აღდგენის საქმეში, ყრილობა ხანგრძლივი ტაშით შეხვდა. სომეხ გლეხებიდან გაისმოდა „კეცე ვარასთან" (გაუმარჯოს საქართველოს).

აგრარულ რეფორმაზე მოხსენება გააკეთა მიქელაძემ. მეტად დააინტერესა ამ საკითხმა გლეხები. ხანგრძლივ კამათის შემდეგ ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ჯავახეთის გლეხკაცობა სიხარულით ეგებება მთავრობის განზრახვას ჯავახეთში აგრარული რეფორმის გატარების შესახებ და აღუთქვამს ამ საქმეში ყოველგვარ დახმარებას.

დამფუძნებელ კრების და ერობის არჩევნების შესახებ ყრილობამ ხანგრძლივი კამათის შემდეგ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „ჯავახეთის გლეხთა ყრილობა აცხადებს მთელი მაზრის სახელით, რომ ის დამფუძნებელი კრების არჩევნებში ცხოველ მონაწილეობას მიიღებს და მხარს დაუჭერს მშრომელი დემოკრატიის საარჩევნო სიას.

ლტოლვილთა საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხანაგმა რამიშვილმა. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ყრილობამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „მოისმინა რა ყრილობამ მოხსენება ამხანაგ რამიშვილისა მაზრის მდგომარეობის შესახებ, ადგენს: „ეთხოვოს მთავრობას დაუყოვნებლივი დახმარება აღმოუჩინოს აოხრებულ გლეხკაცობას პურით, შაქრით, ნავთით, თბილი ტანისამოსით, სათესლე ხორბალით, ინვენტარით და სხვა. დაევალოს ყრილობის მიერ არჩეულ პირებს მიიღონ მთავრობიდან ყველა ეს დახმარება და მაზრის ადმინისტრაციის დახმარებით გაუნაწილონ დამშეულ და აოხრებულ გლეხკაცობას". ყრილობა ღამის სრულ 1 საათზე დაიშალა „ვაშას" და „გაუმარჯოს საქართველოს" ძახილით.

# მესხეთში

**ს. აწყური**

მუდმივ არევ დარევამ ხალხი ცუდ პირობებში ჩააყენა. ჯერ ოსმალეთმა გაზიდა ხალხის პირუტყვი და საქონელი. ხალხი მოსწყდა სამუშაოს და ზოგიც ჯარში წაიყვანა, ზოგიც ბეგარაზე. არც ქირა და სარჩო მუშას არ ეძლეოდა. ეხლაც ხალხი ცუდ პირობებშია. ბეგარა აწუხებს მას. ვინაიდან შარშან მოუსავლობა იყო, საქონლისთვის არ აქვთ არც თივა და არც ბზე. შორიდან მოტანა კი შეუძლებელია. ამას წინეთ ხალხმა სთხოვა მთავრობის წარმომადგენელს შეემსუბუქებია მათთვის ბეგარა. მართლაც განკარგულება მოახდინეს და მის შემდეგ ხალხი უფრო თავისუფლად გრძნობს თავს.

— ხალხის უმთავრესი საზრუნავია ფარჩა, შაქარი, ჩაი, ნავთი და სხვა პირველი საჭიროების საგნები. ამბობენ მთავრობა უკვე ჰგზავნის ახალციხის მაზრის საჭიროებისათვის შაქარს, ნავთს, მარილს და ფარჩასო.

— ამ დღეებში აქ აირჩიეს წარმომადგენელი მიწის მუშათა საბჭოს წევრათ. მას დაევალა ხალხის გაჭირვება მოახსენოს საბჭოს.

— ხალხში პროვოკატორები დადიან, მაგრამ გლეხები იმდენად დაშინებული არიან ოსმალთა შემოსვლით და ნახული ტანჯვით, რომ მათ ნაკლებად უჯერებენ.

— პროვოკატორების აგიტაციამ ვერ გასჭრა და აწყურლებმა გადასწყვიტეს მიიღონ მონაწილეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში.

— ადგილობრივი სკოლა წელიწადზე მეტია დახურულია. არ არის არც მასწავლებელი და არც სასწავლო ნივთები. საჭიროა ეხლავე გაიხსნას შკოლა, რომ ბავშვები ასე უპატრონოთ და უსწავლელნი არ დარჩენ. მაჰმადიანი გლეხები ყველას სთხოვენ პირველად ყოვლისა შკოლის გახსნის დაჩქარებას.

— აქ განზრახულია სახალხო სამკითხველოს აგება. შენობა უკვე ნაშოვნია. ოსმალების კარანტინი ხალხმა სოფ. აგარიდან აწყურში გადმოიტანა და ამ დღეებში უკვე შეუდგებიან აშენებას. საჭიროა მთავრობამ გაიღოს საჭირო თანხა. (მ.)

# ახალციხე

თანხმად მიწის მუშათა საბჭოს და მთავრობის საგანგებო რწმუნებულ ლ. რუხაძის თხოვნისა, მთავრობამ ახალციხის მაზრის მცხოვრებთა საჭიროებისათვის სახელმწიფო სათადარიგო საწყობიდგან დაუთმო 1000 ფუთი შაქარი, 2.500 ფუთი ნავთი, 1.500 ფუთი მარილი, 10000 არშინი ბიაზი, სპიჩკა, საპონი და სხვა, ყველა ეს საქონელი ამ დღეებში მოვა ახალციხეში—მიწის მუშათა საბჭოს სახელზე, რომელიც მცხოვრებთ თანაბრათ გაუნაწილებს.

— მთავრობის საგანგებო რწმუნებულმა ლ. რუხაძემ შუამდგომლობა აღძრა მთავრობასთან დაუყოვნებლივ გადადებულ იქნეს ჯავახელ ლტოლვილთა საჭიროებისათვის ორი მილიონი მანეთი და დახმარების სახით მიეცეს ახალქალაქის მაზრის მცხოვრებთ შაქარი, პური, მარილი, თბილი ტანთსაცმელი, სათესლე ხორბალი და ინვენტარი.

# საარჩევნო კომისიებს

გაცნობებთ შემდეგს შესასრულებლად:

1. პარტიებს ოფიციალურ წარმომადგენელთ უფლება აქვთ თავიანთი პარტიების ბიულეტენები წაიღონ ამომრჩეველთა დასარიგებლად. თუ რომელიმე პარტია ერთი დღის განმავლობაში დღიდან ბიულეტენების მიღებისა უარს იტყვის მათ წაღებაზე ან სრულიად არ გამოცხადდება, მაშინ თვითონ კომისია ვალდებულია წაუღებელი ბიულეტენები ამომრჩევლებს დაურიგოს. თუ პარტია მხოლოდ განსაზღვრულ რაიონში კისრულობს დარიგებას, მაშინ დანარჩენ რაიონებში დარიგება კომისიას ევალება.

კომისიის მოვალეობასვე შეადგენს თვითეულ საარჩევნო ყუთთან ყოველ შემთხვევისათვის იქონიოს პარტიების ყველა ბიულეტენები. ბიულეტენების დასაგზავნი ხარჯი კაცისთვის დღიური, სასმელ-საჭმელისა და საგზაო ფული და გადაზიდვის ქირა თქვენ უნდა გაიღოთ და ხარჯთ-აღრიცხვაში აღნიშნოთ.

2. შესაძლებლათ მიგვაჩნია მმოძრავ ყუთების დაშვება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში — მთაგორიან, მიუვალ და შორს მდებარე ადგილებში ყოველ ცალკე შემთხვევაში თვით კომისიამ უნდა გადასწყვიტოს მმოძრავი ყუთის დაშვება და ამ გადაწყვეტილებას უნდა ემხრობოდეს არა ნაკლებ კომისიის სხდომის ორი მესამედი. მმოძრავი ყუთი თუ შემოიღეთ, აუცილებლათ უნდა იქნას დაცული კანონის ყველა მოთხოვნილება ყუთის შესახებ და მიღებულ იქნას ზომები, რომ ერთმა და იმავე ამომრჩეველმა მხოლოდ ერთხელ მისცეს ხმა და ასეთი ყუთებისათვის ამომრჩეველთა ცალკე სია უნდა იქონიონ.

3. კატეგორიულათ გიცხადებთ, რომ ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენელთა არჩევნებში ჩარევა როგორც ამა თუ იმ პარტიის აქტიურ დამცველობისა, დაუშვებელია წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა შედგენილ იქნას სათანადო ოქმი კომისიის მიერ და წარმოდგენილი ცენტრალურ კომისიაში.

თავმჯდომარე **ალ. ლომთათიძე**

# გრ. მესხიშვილი

ყრმობაში მას უყვარდა ეროსები, ალბად მისთვის, რომ თვითონაც ეროსს ჰგავნდა.

მახსოვს პირველად როცა შას სალომეს ვნებული ნდომა ჰსურდა აეშალა უცად პოემაში. მისი სული მეტად ცხელი იყო; თვითონ იყო ცოცხალი პოემა და რიტმიულ გრძნობებს გიშლიდა მუდამ.

მისი სული ირთოდა ღელვისაგან და ხმა ჰქონდა რბილი, ძვირფასი. მისი სიტყვის ფორმა მის ნათელ გრძნობას მისდევდა და ხელოვნება მისთვის ფუნქციად იქცეოდა. ვნება და ენერგია უჩქეფდა მუდამ ინტუიცია გონს უნათებდა აშლილ სტიმულით.

უკანასკნელად მისი სული დაიფერფლა შარბათიან რომანტიზმში და ნელწვაში დაუთოვლიანდა. ბოლოს ყრმა თეურგი დაისიცხა ედგარის ატაცებულ ცეცხლის ხმაურით და სული ჯვარს აცვა მის საშინელ დარნებში, სადაც ბრაზიანობს ავი სატურნალიები, ცხელი სამუში და შლადის ფოსფორიული ბრწყინვალება!..

მართალია, მას არ გაეცხადა ელვამეხისტეხის ჩვენებები, მას არც კი ჰქონია თვისი პროსოდია, არც მკვეთრი მეტაფორა—ანტიტეზა, მაგრამ მისი სიტყვის ჰედი მიდიოდა ტაშირივით და მის ლიტურგიაში ხომ ჯერ პროსკომიდია იწყობოდა მხოლოდ.

შეიძლება ყრმა მეგოსრის სიტყვას აკლდა დაკვირვება, გონი სინტეზი, მაგრამ მისი ხელის აქნევა არასოდეს არ ყოფილა ბანალური.

მისი უგონო ვნებიანი სიცოცხლე დარჩება ჩემთვის როგორც ედგარის საშინელი თეთრი ყვავილი შუადღის აგ გარინდებაში.

წავიდა ძვირფასი და სატრფო ყრმა თეთრ კვართ გადაცმული მშვენიერ იისებივით. მისი სული დასჭკნა უშლელ ლოტოსივით, მისი სიტყვა ვერ გაბდა ნაცხადი, მაგრამ მისი კეთილშობილურ სისხლის ღაღადი გახმიანდა საქართველოსთვის!..

ვ. ლეონიძე.

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

## გერმანული პრესა.

ბრემენის მეუმრავლესე სოციალისტები შუამავლები, რომლებიც მოლაპარაკებაში მონაწილეობდენ, სთხოვენ ცენტრალურ მთავრობას დაუყოვნებლივ დააბრუნონ მთავრობის მიერ გამოგზავნილი გერმოტენბერგის დივიზია. გერმოტენბერგმა განაცხადა, რომ დივიზია არ შევა ბრემენში იმ შემთხვევაში, თუ ბრემენის დასახმარებლათ არ მოდის სხვა რაზმები.

დამფუძნებელ კრების გახსნის დღეს ვეიმარში მოელიან სპარტაკელთა გამოსვლას. მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ვეიმარში დიდ-ძალი ჯარი დააყენოს. 2 თებერვალს ბერლინში გავრცელდა ხმა, რომ სპარტაკელნი ახალ აჯანყებას ამზადებენ. ამის გამო ყველა დაწესებულებაში და რედაქციებში მთავრობის ჯარი სდგას.

სამხრეთ აფრიკის მთავრობამ ევროპაში გამგზავრება აუკრძალა გენერალ დევეტს და პეტერ კობლერს, რომელსაც ტრანსილვანიის რესპუბლიკის სახელით სურდათ გადაეცათ ვილსონისთვის ბურების დამოუკიდებლობის მანიფესტი.

ცენტრალური მთავრობა, გერმანიის მრავალი დეპუტატი და პრესის წარმომადგენელნი ორშაბათს, 3 თებერვალს, ვეიმარში ჩავიდენ. საგარეო საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარს გრაფი ბროკდორფ-რანცაუ ვეიმარში გაემგზავრა 4 თებერვალს.

ვეიმარის მეციხოვნე ჯარმა განაცხადა, რომ ის ერთგულია მთავრობის და დაიცავს ეროვნულ ყრილობას.

დამოუკიდებელ სოც.-დემ. გამოსვლების გამო ერფურტში, გოტაში და აიზენახში, ვეიმარსა და ამ ადგილებს შორის 3 თებერვალს რამოდენიმე საათით შესწყდა პირდაპირი მავთულით დამოკიდებულება.

უკანასკნელ ოფიციალურ ცნობებით გერმანიის დამფუძნებელი კრების 421 დეპუტატი (ელზას-ლორენის გამოკლებით, სადაც არჩევნები არ მომხდარა) შემდეგ პარტიებათ დაიყო: მეუმრავლესე სოც.-დემ.—163. დამოუკიდებელნი—) აქ შედის გერმანიის სახალხო პარტია ბავარიაში) 75, გერმანიის სახალხო პარტია ქრისტიანთა სახალხო პარტია—88, გერმანიის ეროვნული პარტია—42, ბავარიის გლეხთა კავშირი—4, განოვერის პარტია—4, ბრაუნშვეიგის ერობის კავშირი—1, და შლეზვიგ-ჰოლშტეინის გლეხების და მიწის მუშა დემოკრატების—1.

## გოლშევიკური ცნობები

**მოსკოვი.** თებერვლის 4. ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი. ვალსკის რაიონში ლატიშთა წითელმა არმიამ ლეპენგოფ გამდექ-საფულექისაკენ დაიხია. ვინდავის მიმართულებით ლატიშთა წითელმა არმიამ ბრძოლით დაიჭირა ვინდავა. ვინდავის დაჭერის დროს ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის შტაბი სურსათით დატვირთული გემი, ტყვიის-მფრქვევლები, ჟუმბარების საწყობები, ვინტოვკები და ტყვიები.

სამხრეთის ფრონტი. ბოგუჩარის მიმართულებით ჩვენ ჭურავქა დავიჭირეთ. ცარიცინის მიმართულებით მოწინააღმდეგე ცარიცინის სამხრეთ-დასავლეთით შემოტევას ეცადა, მაგრამ უკუ ვაგდეთ. ამასთანავე ხელთ ვიგდეთ 10 ტყვიის-მფრქვეველი, 500 თოფი და 230 კაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ.

**ბალაშოვი,** თებერ. 4. პოვორინო-ალექსიკოვ-სებრიაკოვოს რკინის გზის ხაზები დავიჭირეთ და გავამაგრეთ. მდ. მედვედიცაზე ყაზახებმა რკინის გზის ხიდი ააფეთქეს.

**ეკატერინოსლავი.** თებერ. 2. პეტლიურას ატამანმა, გრიგორიევმა, რომელიც თავრიდის ჯარს სარდლობდა, თავის-თავი საბჭოთა მთავრობის მომხრეთ გამოაცხადა. გრიგორიევმა გამოუშვა მანიფესტი მოწოდებით, დაიცვან უკრაინის საბჭოთა მთავრობა.

**რიგა.** თებერ. 3. ლიბავიდან იუწყებიან, რომ ინგლისის გემებმა დასტოვეს ლიბავის ნავთსადგური.

გამოცხადდა ლიბავაში მცხოვრებ რუსეთის არმიის ყოფილ ოფიცერთა და უნტერ-ოფიცერთა მობილიზაცია. მიმღებ კომისსიაში გამოცხადდა 73 აფიცერი და უნტერ-აფიცერი.

**ორენბურგი.** ხუთი თვის შემდეგ გუშინ შესდგა კომუნისტების მრავალრიცხოვანი კრება. აირჩიეს რუსეთის კომუნ. პარტიის კომიტეტი.

**მინსკი.** თებ. 3. სრულიად ბელორუსების საბჭოთა ყრილობამ ც. ა. კომიტეტი აირჩიეს: 45 კომუნისტი, 2 ბუნდის პარტიისა და 1 მენშევიკი.

**პარიზი.** თებერ. 3. ჩაიკოვსკი, ჩრ.-რუსეთის „მთავრობის" თავმჯდომარე, ჩავიდა ბერგენში, შემდეგ გაემგზავრა პარიზში საზავო კონფერენციაზე. ჩაიკოვსკის სურს გამართოს მოლაპარაკება ვილსონთან იმ ზომების შესახებ, რომელიც უნდა მიიღონ მოკავშირეებმა ბოლშევიკების წინააღმდეგ.

**კარნაფონი,** თებერვლის 4. მოკავშირეთა შორის მიაღწიეს წინასწარ შეთანხმებას ხალხთა ლიგის შესახებ. ლიგის შექმნას საფუძვლათ დაედო ამერიკის შეხედულებანი. პრეზიდენტი ვილსონი იმუშავებს გეგმას მუდმივი ტრიბუნალის შესაქმნელათ, რომელსაც არბიტრაჟის ხასიათი ექნება საჭირო აპარატით, რათა შეძლებ ჰქონდეს ეკონომიურ ბოიკოტით დასაჯოს ურჩი.

**ნაუენი,** თებერვლის 3. შეთანხმება მოხდა ერთის მხრით გერმანიის ჯარისკაცთა საბჭოსა და ბრემენის სახალხო რწმუნებულის, ხოლო მეორეს მხრით სოც.-დემ. უმრავლესობის პარტიის შორის. რწმუნებულებმა თანხმობა განაცხადეს ცენტრალურ მთავრობის თანახმად თანამდებობიდან გადადგენ. ბრემენის მუშები მზად არიან მე-9 კორპუსის საბჭოს ჩააბარონ იარაღი და ყუმბარები.

## ფრანგული პრესა

სამშაბათს 3 საათზე ფინანსთა სამინისტროს ბინაზე კლოტცის თავმჯდომარეობით შესდგა ზარალის ანაღზაურების კომისიის სხდომა, რომელზედაც გადასწყვიტეს მთავარი სეკრეტარიატის არჩევა, შემდეგ პირთაგან: პოლკოვნიკი ჰიდ (ინგლისელი), გრინი (შეერთებულ შტატების), დე-ლასტეკრი (საფრანგეთი) და ფობერტი (იტალია).

ბერნის სოციალისტურ კონფერენციაზე რენოდელმა აღნიშნა, რომ გერმანელ სოციალ-დემოკრატებს ომის პასუხისმგებლობაში წილი უდევთ. მან წაიკითხა ანგარიში იმ შეხვედრისა, რომელიც პარიზში მოხდა 1914 წლის ივლისს გერმანიის სოც.-დემოკრატიულ უმრავლესობის პარტიის დელეგატის მიულერსა და საფრანგეთის სოციალისტების ბელადთა შორის თქვენ მოგეხსენებათ, სთქვა რონოდელმა, გერმანელების სიმხეცით. თვით ბეტმან-ჰოლვეგმა აღიარა, მან მიიყვანა ფორმულა: საჭიროებამ კანონი არ იცის. მიუხედავათ ამისა გერმანიის სოციალ-დემოკრატები მხარს უჭერდენ მთავრობას. ინტერ-ნაციონალს ახლა მოუხდება არა გერმანელ სოციალისტებისაგან ფრანგ სოციალისტების გარჩევა, არამედ გერმანიის სოციალ - დემოკრატიულ უმრავლესობისაგან უმცირესობის გარჩევა. ბოლშევიკი რათ გახდა ლიბკნეხტი და რათ შეცდა ასე? იმიტომ, რომ მან იმედი დაჰკარგა სოციალ-დემოკრატიულ უმრავლესობისა, რომლის ბრალიცაა ლიბკნეხტის სიკვდილი. თქვენ გაცხიათ მისი სისხლი მიმართავს რენოდელი გერმანელ სოც.-დემოკრატებს. ინტერნაციონალმა ესეც უნდა განიხილოს. დასასრულ რენოოერი სთხოვს ინტერნაციონალს, ან გერმანიის სოც.-დემ. უმრავლესობის პარტია ირჩიოს, ან უმცირესობა.

ბრაზილიის თხოვნით მისი ჯარის ასაღორძინებლად საფრანგეთიდან ინსტრუქტორები იგზავნება.

გადაცემულია თფილისის რადიოთი ბაქოდან ბერნში გადასაცემათ. ქალაქ ბაქოს, მისი რაიონების და კასპიის ზღვის ტრანსპორტის პროლეტარიატის კონფერენცია ძმურ სალამს უძღვნის საერთაშორისო პროლეტარიატის ყრილობას, რომელიც შეიკრიბა ბერნში მუშათა ინტერნაციონალს აღსადგენათ. [illegible] კონგრესის მუშაობა [illegible] სალის კონფერენციას ყურადღება მიაქციოს მუშათა ხმას და დემოკრატიული ზავი შეკრას. ბაქოს პროლეტარიატი ყოველგვარ დახმარებას გაუწევს კონფერენციას ინტერნაციონალის აღდგენის საქმეში. გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესს! გაუმარჯოს ხალხთა ძმობას! გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონაციონალურ ყრილობას! კონფერენციის თავმჯდომარე ანდრია ჩერაევი. მდივანი იაკობ შტერინი.

## ფრანგული პრესა.

ლიბავიდან იუწყებიან, რომ ფინლანდიელთა და ესტონელთა ჯარებმა დორპატიდან სამხრეთისკენ წინ წაიწიეს და წითელ არმიელები დაამარცხეს. მათ აიღეს აგრეთვე ქ. ვალკი და ამით გზა მოუჭრეს ლიფლანდიასა და კურლანდიაში მომქმედ ჯარებს. ბოლშევიკებმა ქ. ვინდავა აიღეს.

მოხდა შეთანხმება ერთის მხრით არგენტინისა და მეორეს მხრით ინგლის-საფრანგეთ-იტალიას შორის არგენტინის მოსავლის შესყიდვის შესახებ.

**მოკავშირეთა კონტროლი**

**ლიონი.** თებერვლის 2. სტამბოლში ოფიციალური განცხადებებია გავრცელი, რომ მოკავშირეთა სარდლობა გერმანია-ავსტრიის ბანკების ოპერაციების და ოსმალეთის რკინის გზის კანტროლს კისრულობს. სამშვიდობო კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე ბრატიანომ განაცხადა, რომ რუმინია მოითხოვს ტრანსილვანიას, ბუკოვინას, ბესარაბიას, დობრუჯას და წინადადება მისცა, რომ მოკავშირეთა ჯარმა დასჭიროს ბანატი და ტრანსილვანია იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალონ ბოლშევიკების გადაჯგუფებას. კონფერენციამ დაადგინა: დააარსონ კომისია რუმინიის საკითხის განსახილველად.

# ჰიგიენური მუსაიფი

(დასასრული*)

ზოგის აზრით, ჭლექიანს უნდა აეკრძალოს საზოგადოებაში ყოფნა, ის უნდა იმყოფებოდეს მორჩენამდე ჭლექის მოსარჩენ საავადმყოფოში. დოქტორი ნერიკოურტი კარგად გრძნობს, საშუალო საუკუნოებისებურს სისასტიკეს ამგვარი გადაწყვეტილებისას, მაგრამ მაინც გადაჭრით ამბობს, რომ ჭლექის გავრცელების შესამცირებლად ეს ჯერ-ჯეროზით ერთად-ერთი საშუალებააო. საზოგადოება, რომელიც ზემოხსენებულს გადაწყვეტილებას არ თანაუგრძნობს, კიდეც ჭლექის მსხვერპლად შეიქმნებაო—განაგრძნობს იგივე დოქტორი. ამგვარი აზრის მარტო ნერიკოურტი როდია. ამას წინად პარიზში მომხდარ ექიმების სხდომაზე ბევრმა აღიარა ჭლექიანებისთვის განცალკევებული საავადმყოფოების დაარსების აუცილებლობა, ეგრედ წოდებული ტუბერკულიოზერიუმები **) ამგვარად დღეს ევროპაში ჭლექთან საბრძოლველად იმგვარ საშუალებას აპირობენ მიმართონ, როგორც ჩვენში იყო წინად მიღებული. მხოლოდ იგი საშუალება მარტივი და შეუბრალებელი იყო. ხალხმა იცოდა, თუ რა საშიშარი და გადამდები სენია ჭლექი, ჭლექიანი ხშირად სახლიდან გამოჰყავდა მოშორებით სადმე ქოხში აბინავებდა, სადაც დიდი სიფრთხილით საჭმელს უზიდავდა, ხშირად ჯოხითაც აწვდიდა.

თუ ჭლექი ოჯახს არ მოსცილდებოდა, კიდევ იმსხვერპლიდა ვისმე, მაშინ სახლსაც გადასწვამდნენ. ამგვარი დეზინფექცია სენის მოსასპობად დღესაც სწამს ხალხს, მხოლოდ ისე შეუბრალებლად დღეს არ ექცევიან ჭლექიან ავადმყოფს, როგორც წინად.

საინტერესოა მოკლედ განვიხილოთ თუ რა გავლენა მოახდინა დარვინმა ჭლექზე შეხედულებაზე, 1859 წლიდან, როდესაც დარვინმა გამოსცა L'eriyme der erpecer უფრო სასტიკი შეიქმნა ჭლექიანებზე შეხედულება. დარვინი ამბობდა: „ცხოვრებისათვის ბრძოლაში იმარჯვებენ ძლიერნი და კარგათ შეიარაღებულნი და გამარჯვებულნი ბრძოლისათვის გამოსადეგ თვისებებს შთამომავლობას გადასცემენ, უძლურნი კი ბრძოლაში იღუპებიანო". ამ დებულებამ გავლენა იქონია სპენსერზედაც კი და მისივე გავლენის ქვეშ იყვენ შემდეგ ემილ-ზოლა, პოლბუჟე და სხვები.

ცნობილი მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ზაქარინი ამ 30 წლის წინედ ლექციებზე ხშირად იმეორებდა დარვინის აზრს და შეუბრალებლად ამბობდა. დეე, დაიხოცონ ჭლექიანები, რათა მათ არ გაამრავ-

**) ისე, როგორც კეთროვანებისათვის საავადმყოფოები იწოდებიან Zeproserinm ობად.

ლონ სუსტი შთამომავლობა. მაგრამ როდესაც გავიცანით ჭლექის ბაცილა, რომელიც კოხმა 1881 წელს აღმოაჩინა, თუ რა პირობებში ვრცელდება ეს კაცობრიობის გამანადგურებელი სენი, მაშინ ჭლექი ისედაც საშიში არ გამოდგა და სასტიკი, ულმობელი შეხედულება მაზე ჰუმანური შეხედულებად შეიცვალა. ვინც სისუფთავეს იცავს, არ აძლევს ნებას ჭლექიანს ჰფანტოს ნახველი ყოველგან, ან და ჭლექიანი იმდენათ შეგნებულია, რომ ძლიერ უფრთხილდება ნახველს, მაშინ ჭლექი კარგავს თავის საშიშროებას. ამ გვარი ჰიგიენური შეხედულება და თვით შესაძლებლობა ჭლექისაგან განკურნებისა შეიქმნა იმის მიზეზი, რომ დღეს ჭლექის ისე არ ეშინია საზოგადოებას და ამ გვარათ ძველებური სასტიკი მოქცევისა და შეხედულების მაგივრათ დაიბადა უფრო ჰუმანიური შეხედულება ჭლექიანზე.

ექიმები დღეს მოვალედ სთვლიან თავისთავს გააგებინონ და აუხსნან ჭლექით ავადმყოფს მისი საშიშარი მდგომარეობა როგორც მისთვის, ისე ახლობლებისათვის, ეს იმისთვის რომ შესაფერისი ზომები მიიღონ ავადმყოფებმაც. გადამდებ სენთან ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს ერთი მხრით ავადმყოფისაგან ზოგ ეგოისტურ თვისებების უარყოფას, მეორე მხრით საზოგადოების თანაგრძნობის და სიბრალულის უფრო გონიერ ფარგალში ჩაყენებას, ცხადია, რომ აუცილებელია ამ თვისებების კანონიერი და უფრო შეგნებული შეთანხმება და ამისდამიხედვით გამკლავება ყოველგვარ სენთან. სწორედ მაშინ მიაღწევს მიზანს საზოგადო ჰიგიენაც. მეცნიერება ასე მალე ვერ გამოიგონებს უებარ საშუალებას ყოველი სენის წინააღმდეგ, თუმც დღევანდელი სამეცნიერო ექიმობა დიდ იმედებს იძლევა.

მანამდის ბევრი გადამდები სენი, მეტადრე ჭლექი, ხოლერა, შავი ჭირი, ავი სენი თავისას გაიტანს და მთელ კაცობრიობას დაავადებას.

დღევანდელი ზომები სანატორიუმების და საავადმყოფოების სახით ვერას გვიშველის, რადგან მრავალი ავადმყოფობა შედეგია თვით ცხოვრების, მისი სოციალისტური და ეკონომიური პირობების, თვით სენთან ბრძოლა ამ ნიადაგზე უნდა წარმოებდეს. დღეს საანბანო მცნებათ შეიქმნა ის აზრი, რომ თუ პოლიტიკური მდგომარეობა არ შეიცვალა, თუ არ შეიცვალა მუშა კაცის ძირითადი მდგომარეობა კაპიტალის და შრომის ურთიერთობის უფრო კანონიერათ გადაქმნით, ყოველი სხვა ზომა არის მხოლოდ პოლიატივი, თუმც საზოგადოთ ეს ასეა, მაგრამ ჩვენ მაინც მტკიცედ ვფიქრობთ, რომ რა მხრითაც უნდა განვიხილოთ ჭლექის ან სხვა გადამდებ სენის წინააღმდეგ მიჩნეული (მიღებული) ზომები, იგი ყოველგან და მეტადრე ჩვენში, სადაც სიღარიბე ესოდენ თვალსაჩინოა, ცალმხრივი იქნება, თუ ყოველი ადამიანისაგან პირადი ჰიგიენა (პირადი პროფილაქტიკა) სავსებით არ იქნება შეგნებული და ეს კი საკუთარი ინტერესების და სურვილების დაკმაყოფილებაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, სხვებისათვის ფიქრსა და მზრუნველობასაც უნდა შეიცავდეს.

ადამიანი პატარაობიდან უნდა იყვეს გამსჭვალული იმ დიდებული აზრით, რომელიც დიდიხანია გვესმის: ნუ მოისურვებ და ნუ მოიმოქმედებ სხვებისათვის იმას, რაც შენთვის მავნებელი და საწყენია. ამ გვარი რწმენის განმტკიცებას და განხორციელებას კერძო პირში, საზოგადოებაში, კაცობრიობაში მარტო ჯანმრთელის გაუმჯობესობა როდი მოჰყვება, მას მოყვება აგრეთვე საზოგადო ცხოვრების გადაქმნა და გამშვენიერება, რაზედაც დღეს ოცნებობენ ხოლმე, მაგრამ ეს შეუძლებელია, თუ ადამიანის ეგოისტურ ბუნებას რაც შეიძლება უფრო ძლიერ ფრთები არ შეეკვეცა. ეს კი უფრო ადვილათ შეუძლია მოახდინოს აწინდელმა განახლებულმა სკოლამ. დღეს დიდი იმედი უნდა გვქონდეს, რომ სკოლა შეიქმნა ყველასათვის ადვილად მისაწდომი, ესე იგი უნდა მოხდეს სკოლის ნამდვილი დემოკრატიზაცია. ამავე დროს სკოლაში დიდი ადგილი უნდა დაიჭიროს ჰიგიენამ. ჰიგიენა დღეს უფრო და უფრო დიდს ასპარეზს იჭერს. გაბედა იმისა, რომ იგი გვამცნეს, როგორ უნდა ვიცხოვროთ, რომ ჯანმრთელი შევიქმნეთ, იგი გვასწავლის ზნეობას, როგორც ეს ზევით მოვიხსენიეთ, იგი განიხილავს ზნე-ჩვეულებებს პირდაპირ ჰიგიენური თვალსაზრისით და აი მისი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც.

და თუ ჩვენ ყმაწვილობაშივე არ მოვსპეთ ცუდი ზნე-ჩვეულებანი, მერე გვიანღაა.

მეორე ბუნებად გადაქცეულს ზნე-ჩვეულების მოსპობას გარდა საქმის შეგნებისა დიდი ნების ყოფაც დასჭირდება და ეს მხოლოდ რჩეული ადამიანისათვის არის მხოლოდ შესაძლო. გარდა ამისა ჰიგიენა შეიჭრა ადამიანის სულის სამეფოში (სფეროში). თანამედროვე ფიზიოლოგიურ და ფსიხიოლოგიურ გამოკვლევებს იგი აშუქებს ჰიგიენური თვალსაზრისით და ამ გვარათ უკვე ისახება (ინგლისელი მეცნიერების წყალობით) სულ ახალი დარგი მეცნიერებისა ჰიგიენა სულისა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ დღევანდელს რევოლიუციას შეუძლია სოციალიზმი ოდესმე განახორციელოს, რაშიც ჩვენი დიდი ილიასთან ერთად ვეჭვობთ, (მოიგონეთ მისი „ნუ თუ“?) რადგან გუშინდელი მონა ვერ შესძლებს ამას ასე მალე, ამ სოციალიზმის განხორციელებაში ჰიგიენასაც დიდი წილი დაეთმობა, რადგან მასში ზნეობრივ მოძღვრებასაც კი ვხედავთ, თუ საქმეს კარგათ ჩაუკვირდებით. თუ წარსულ ცხოვრებას დიდი ნაკლი ჰქონდა, ეს ზნეობრივი მხარეს დაკნინება და უპატიოსნობა იყო.

ე. გაშაკაძე.

## დამფუძნებელი კრების არჩევნები

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უფლება მიანიჭა პარტიებს მათი ბიულეტენების მიღებისა და დარიგებისა მაზრაში. ნაწილი ბიულეტენებისა, კანონის ძალით, ყველა ყუთებთან უნდა დარჩეს. დანარჩენი ბიულეტენები უნდა თვით დაარიგონ პარტიებმა, ანუ თუ მათ ამაზე უარი განაცხადეს და ბიულეტენების მიღების შემდეგ ერთი დღის განმავლობაში არ წაიღეს სამაზრო, ანუ საქალაქო კომისიიდან, სამაზრო კომისია თვითონვე უგზავნის ბიულეტენებს სასოფლო კომისიებს. უკანასკნელნი კი დაუყოვნებლივ ურიგებენ ამომრჩეველთ იმ პარტიების ბიულეტენებს, რომელთაც თვითონ არ ფკისრიათ დარიგება.

პარტიებს უფლება აქვთ სამაზრო კომისიიდან ბიულეტენების ერთი ნაწილი გაიტანონ მაზრის ამა თუ იმ რაიონისთვის. ამ რაიონში უკვე კომისიები პარტიის ბიულეტენებს აღარ დაარიგებენ.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სამაზრო ორგანიზაციებს ევალებათ სამაზრო კომისიიდან ბიულეტენის გატანა, ხოლო იმ რაიონებისათვის, სადაც სამაზრო კომისიას სარწმუნო პირები ყავს არჩეული, ბიულეტენების დასარიგებლად. სადაც პარტიას ასეთი პირები არ ყავს, იქ თვით სასოფლო საარჩევნო კომისიებმა უნდა დაურიგოს ყველა ამომრჩეველს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბიულეტენები.

## პარტიული ცხოვრება

**თბილისის დამფუძნებელ კრების მე-II, III, IV და V უბნების ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის საარჩევნო კომიტეტი.**

(რომელიც იმყოფება სასახლის ქ. № 5, მთავარ კომიტეტის ბინაზე), ამით აცხადებს, რომ ყველა საკითხებისთვის, რომლებიც ეხებიან ამ უბნებს, უნდა მიმართონ კომიტეტის კანცელარიას, ყოველ დღე.

### 2 და 3 უბნების შეერთებული კრება

დღეს, 6 თებერვალს საღამოს სრულ 6 საათზე საძყურხეო ბანკში (სასახლის ქ.) დანიშნულია საქ. ეროვ.-დემოკრატ. პარტიის წევრთა მეორე და მესამე უბნებში მცხოვრებთა **საარჩევნო კრება.** ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა. ამავე კრებაზე აუცილებლივ უნდა გამოცხადდნენ ჩვენი პარტიის მოსწავლე ახალგაზრდობაც.

### 8 და 9 უბნების შეერთებული კრება.

შაბათს, 8 თებერვალს, საღამოს სრულ 5 საათზე მესამე სასამართლოს განყოფილებაში დანიშნულია საქართველოს ერ.-დემ. პარტიის წევრთა მერვე და მეცხრე უბნებში მცხოვრებთა **საარჩევნო კრება.** ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა. ამავ კრებაზე აუცილებლივ უნდა გამოცხადდნენ ადგილობრივ მცხოვრების ჩვენი პარტიის მოსწავლე ახალგაზრდობაც.

### 7 უბნის კრება

შაბათს, 8 თებერვალს საღამოს 6 საათზე მე-5 საქალაქო სასწავლებელში (კახეთის ქ. № 56) დანიშნულია საქ. ერ.-დემოკ. პარტიის წევრთა მეშვიდე (ხარფუხის) რაიონის მცხოვრებთა **საარჩევნო კრება.** ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა. კრებას აუცილებლივ უნდა დაესწროს მოსწავლე ახალგაზრდობაც.

### 5 უბნის კრება

კვირას, 9 თებერვალს, საღამოს 5 ნახ. საათზე წმ. მარინეს ეკლესიის სასულიერო სკოლაში დანიშნულია საქ. ერ.-დემოკ. პარტიის წევრთა მეხუთე უბნის **საარჩევნო კრება.** ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა. კრებას აუცილებლივ უნდა დაესწროს ადგილობრივ მცხოვრების პარტიის მოსწავლე ახალგაზრდობა.

ორშაბათს, 10 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, ყოფილ ხარფუხის კლუბში (მიხეილის ქუჩა) დანიშნულია საქ. ერ.-დემოკრატიულ პარტიის წევრთა მეცხრე და მეთორმეტე უბნებში მცხოვრებთა **საარჩევნო კრება.** ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა. კრებას აუცილებლივ უნდა დაესწროს ადგილობრივ მცხოვრებთა პარტიის მოსწავლე ახალგაზრდობა.

ყველა უბნების კრებებზე მომხსენებლები იქნებიან პარტიის მთავარ კომიტეტის წევრები: **გიორგი გვაზავა, პართენ გოთუა, ალექსანდრე ახათიანი, მარგველაშვილი** და სხვ.

## რა უნდა იცოდეს ყოველმა ამომრჩეველმა

(ამონაწერი დამფუძნებელი კრების არჩევნების კანონიდან).

**საარჩევნო ბარათების მიცემა და დათვლა.**

53. ხმის მიცემა სწარმოებს საარჩევნო ბარათებით.

54. საარჩევნო ბარათები გარეგნობით ერთნაირი უნდა იყოს.

55. თვითეული საარჩევნო ბარათი უნდა შეიცავდეს ერთ-ერთ გამოცხადებულ საკანდიდატო სიას; ამ სიაში არავითარი ცვლილების შეტანა არ შეიძლება, არც ერთი კანდიდატის მეორის ადგილზე გადატანა. ბარათს უნდა ჰქონდეს ნუმერი საკანდიდატო სიისა და სახელწოდება ამ სიის წარმომადგენელი ორგანიზაციისა, თუ მას ორგანიზაციის სახელი აქვს დარქმეული.

56. კონვერტები საარჩევნო ბარათებისთვის უნდა იყოს ერთნაირი, არაგამჭვირვალე სუფთა და ზედ უნდა იყოს დასმული ბეჭედი ცენტრალურ საარჩევნო კომისიისა.

57. საარჩევნო ბარათები და კონვერტები მზადდება ცენტრალურ საარჩევნო კომისიის განკარგულებით.

ყველა წარმოდგენილი საკანდიდატო სიებისთვის მზადდება თანასწორი რაოდენობა საარჩევნო ბარათებისა.

59. ბარათები და კონვერტები დამზადებისთანავე დაეგზავნება ცენტრალური კომისიის განკარგულებით მთავარ საქალაქო, სამაზრო და სათემო კომისიებს.

61. მთავარი საქალაქო და სოფლის წვრილი საარჩევნო კომისია ვალდებულია დაურიგოს თვითეულ ამომრჩეველს არა უგვიანეს ორი დღისა არჩევნების დაწყებამდე თითო ცალი საარჩევნო ბარათი ყოველ გამოცხადებულ საკანდიდატო სიისა და სახელობითი მოწმობა ქალაქის ამომრჩევლებს.

იმას, ვისაც უფლება აქვს მიიღოს სახელობითი მოწმობა და საარჩევნო ბარათები, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო არ მიუღია, მიეცემა: მოწმობა—ქალაქის მთავარ კომისიაში არჩევნების დღემდე, საარჩევნო ბარათები კი ქალაქის საუბნო საარჩევნო კომისიაში არჩევნების დღის.

62. საქალაქო და სოფლის საზოგადოების საარჩევნო კომისიები ამზადებენ პირ-ამოჭრილ საარჩევნო ყუთებს, საარჩევნო ბარათების ჩასაშვებად და უგზავნიან მათ მცირე საარჩევნო ერთეულებს.

64. თვითეულ საარჩევნო შენობაში უნდა იყოს ერთი, ან რამდენიმე მოფარებული ადგილი, რომ ამომრჩეველს, არჩევნების საიდუმლოების დაურღვევლად შეეძლოს ჩასდოს კონვერტში საარჩევნო ბარათი.

67. საარჩევნო შენობაში არ შეიშვებიან: 1) შეიარაღებულნი და 2) ისინი, ვისაც ცხადათ ეტყობა, რომ მთვრალია.

68: თავმჯდომარეს უფლება აქვს საჭიროების მიხედვით, თანხმად კომისიის დადგენილებისა, მოსთხოვოს სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებას გამოუგზავნონ მილიციელები, ან ჯარისკაცები.

მილიციელები და ჯარისკაცები სავსებით ემორჩილებიან თავმჯდომარეს და იმყოფებიან მხოლოდ მის განკარგულებაში.

69. თუ წეს-რიგი დაირღვა. ან თუ ვინმე კომისიის ან მისი თავმჯდომარის განკარგულებას არ დაემორჩილა, კომისიას შეუძლია დაადგინოს შეიყვანოს მილიციელები და ჯარისკაცები შენობაში, სადაც არჩევნები სწარმოებს. თუ თავმჯდომარის მოთხოვნა არაა, ისე საარჩევნო შენობაში არავითარი შეიარაღებული ძალის შეყვანა არ შეიძლება.

71. საარჩევნო ბარათი ამომრჩეველმა თვითონ უნდა მიიტანოს და ჩააგდოს საარჩევნო ყუთში.

73. კონვერტს რომ მიიღებს ამომრჩეველი, მიდის მოფარებულ ადგილას და იქ ჩასდებს კონვერტში საარჩევნო ბარათს, დაბრუნდება საარჩევნო ყუთთან და გადასცემს დაბეჭდილ კონვერტს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც მის თვალწინ ჩააგდებს კონვერტს ყუთში.

76. ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებისამებრ დამზადებულ საარჩევნო ბარათებთან ერთად ნამდვილ ბარათებად ჩითვლება ისინიც, რომელთა ტექსტი იმ ნაირივეა.

**შენიშვნა.** საპატიო შემთხვევაში საარჩევნო ბარათების მაგიერ შეიძლება ნამდვილად ჩაითვალოს სუფთა ქაღალდზე ხელით დაწერილი ან დაბეჭდილი შესაფერისი ნომერი.

77. ნამდვილად არ ჩაითვლება: 1) საარჩევნო ბარათი, რომელიც არ შეეფერება მე-54, 55, 56 მუხლებს; 2) ბარათებს, რომელიც შეუვსებელია; 3) ბარათი, ხელმოწერილი ამომრჩევლის მიერ, ან ისეთი, რომელზედაც წაშლილია რაიმე, ან ამოფხეკილი ან ზედ რაიმე გამოსაცნობი ნიშანი აზის, ან თუ ისეთ კონვერტში დევს რომელთაც ასეთი ნიშნები აქვთ; 4) თუ კონვერტში ერთზე მეტია ბარათი და მათი შინაარსი ერთი და იგივე არაა; თუ ერთ კონვერტში რამდენი ერთისა და იმავე შინაარსის ბარათია, ყველა ერთ ბარათად ჩაითვლება.

**არჩევნების თავისუფლებისა და სისწორის დაცვა.**

93. ვინც თავის ნებით მოაძრობს, ჩამოხევს, ზემოდან რასმე გადააფარებს ან შესცვლის საჯაროდ გამოფენილ საარჩევნო მოწოდებას, ცნობას ან სიას ამომრჩეველთა იმ ჯგუფებისას, რომელთაც საკანდიდატო სიები წარმოუდგენიათ, დაისჯება დატუსაღებით არა უმეტეს ერთის თვის ვადიხა ან დაჯარიმებულ იქნება ფულით არა უმეტეს სამასი მანეთისა,

100. ვინც პიროვნებაზე ძალადობითა, დასჯელის (наказуемый) მუქარითა, მოტყუილებით, ძალაუფლების ბოროტად მოხმარებით ან ეკონომიურის დამოკიდებულებს საშუალებით ხელს შეუშლის საარჩევნო უფლების მქონეს თავისუფლად განახორციელოს ეს უფლება,—დაისჯება სატუსაღოში ჩამწყვდევით.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

101. ვინც ძალადონის საშუალებით, მუქარით, უწესოების მოხდენით, საარჩევნო სიების ან საარჩევნო ბარათების და ყუთების გაფუჭებით, ან საარჩევნო კომისიის წევრებზე ძალადობის ხმარებით ხელს შეუშლის არჩევნების წესიერად წარმოებას საარჩევნო კომისიის შენობაში,—დაისჯება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით.

102. ვინც უწესოებით, დაშინებით ან მიმოსვლის საშუალების მოსპობით ხელს შეუშლის ამომრჩეველთა ნაწილს გამოიყენოს საარჩევნო უფლება,—დასჯილ იქნება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით არა უმეტეს ამის წლის ვადისა.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

104. ვინც ამომრჩეველს გადაიბირებს დაპირებით მისთვის ან მისი ოჯახის წევრისთვის პირადი ან ქონებრივის სარგებლობის მიცემით რომ უკანასკნელმა არ მიიღოს მონაწილეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში,—დაისჯება სატუსაღოში ჩამწყვდევით.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

ასეთივე სასჯელით დაისჯება ამომრჩეველი, რომელსაც მოუთხოვნია ან მიუღია პირადი რამ სარგებლობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული მიზნით.

100. ვინც განზრახ დაამახინჯებს ხმის მიცემის შედეგებს საარჩევნო ბარათების ჩამორთმევისა, დათვლისა ან გამოქვეყნების დროს, ან და განზრახ გააფუჭებს, ან მოიტაცებს მიცემულ საარჩევნო ბარათებს ან საარჩევნო წარმოებას, ან სიყალბით ჩაუმატებს საარჩევნო ბარათებს ან შეცვლის საარჩევნო წარმოებას,—დაისჯება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით არა უმეტეს სამის წლის ვადისა.

ამ დანაშაულის ჩადენის შეცდაც დაისჯება.

108. ვინც, წინააღმდეგ კანონისა, გამოაშკარავებს ... ლოებას დამფუძნებელ კრების არჩევნებში,—დაისჯება დატუსაღებით.

190. **წევრი საარჩევნო კომისიისა ან სხვა თანამდებობის პირი,** რომელიც განზრახ დაარღვევს დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულებას იმ მიზნით, რომ გავლენა მოახდინოს არჩევნების მსვლელობაზე ამა თუ იმ საკანდიდატო სიის სასარგებლოდ თუ საზიანოდ, თუ ამისთვის უფრო სასტიკი სასჯელი არ მოელის,—დაისჯება დატუსაღებით.

რედაქტორი **გერონტი ქიქოძე.**


## სახელმწიფო თეატრი

**საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა**

დღეს, 6 თებერვალს, სუფლიორ ნიკოლაევის ბენეფისი. წარმოდგ. იქნება:

# ტრავიატა

მონაწილეობენ: საბანეევა, ზალიპსკი, ვრონსკი.

**დასაწყისი საღამოს 7 საათზე.**

შაბათს, 8 თებერვალს, დ. არაყიშვილის 15 წლის სამუსიკო მოღვაწეობის აღსანიშნავად **„თქმულება შოთა რუსთაველზე“.** კვირას, 9 თებერვალს, დილით—„რუსლან და ლიუდმილა“, საღამოთი—პოლიაევის 10 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად წარმოდგენილი იქნება **„მეფის ხარძლი“**, სამშაბათს, 11 თებერვალს მ. ალექსის ბენეფისი **„ტოსკა“.**

## ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო

თბილისის საზომ-საწონთა შემამოწმებელი **პალატი**

**(მიხეილის პროსპექტი, № 117)**

აცხადებს, რომ ვაჭრობის წესდების მე-748 და 758 მუხლის თანახმად, ყველა საწყაოს, საწონს და საზომს უნდა დასმული ჰქონდეს შემმოწმებელი პალატის დაღი. ამ დაღს ძალა აქვს ხუთი წლის განმავლობაში. ამიტომ პალატა სთხოვს სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებს, აფთიაქებს, საწყობის, ფაბრიკების, ქარხნების, კონტორების, ბანკების პატრონებს და სხვა კერძო, საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებებს წარუმადგინონ ყველა საწონ-საწონი, საქენები, არშინები, ღვინის, სპირტის, არყის, ლუდის და რძის საწყაოები; კასრები წყლისა, ლუდისა, არყისა და სხვა. ე. ი. ყველაფერი, რითაც იწყვება, იწონება და იზომება როგორც 1915 წლამდე დასმული დაღით, აგრეთვე სრულიად ღდაღოები 1919 წლის დაღის დასასმელად. ვინც ამას არ შეასრულებს ქვემო ნაჩვენებ ვადის გათავებამდე, რევიზიის დროს ყველა დაღიანი თუ უდაღო ყველა საწყაო, საწონი და საზომი პატრონთ ჩამოერთმევათ და პასუხისგებაში იქნება მიცემული სასჯელთა დებულების მე-1175, 1176 და 1309 მუხლის ძალით. გამოც. 1916 წ. საწყაო, საზომი და საწონი სწორი უნდა იყოს იგი, წინააღმდეგ შემთხვევაში დაღი არ დაესმება და გადასახადიც არ იქნება დაბრუნებული. ვადები თბილისისთვის: 1919 წელს თებერვალი—**1, 2, 3 და 4 უბნები. მარტი—5, 6, 7 და 8 უბნები და აპრილი—9, 10, 11 და 12 უბნები.** 1919 წელს იქნება შემოწმებული აგრეთვე ქუთაისის, შორაპანის, სიღნაღის და გორის მაზრები, ქვემო მოხსენებულ მაზრებმა, სადაც იქნება გახსნილი დროებითი განყოფილებები საზომ-საწონთა პალატისა, ვაჭრები მოვალენი არიან დანიშნულ ვადაზედ მოიტანონ შესამოწმებლად და დაღის დასასმელად საწყაოები, სასწორები და საზომები:

| | | | |
|---|---|---|---|
| მაისი | ქუთაისი, სამტრედია | ივლისი | სიღნაღი, თუქურმიშა |
| ივნისი | ბაღდადი | აგვისტო | ველისციხე, გურჯაანი |
| ივნისი | შორაპანი, ჭიათურა | ენკენისთვე | გორი, ცხინვალი |
| ივლისი | ბელაგორი | ღვინობისთვე | ქარელი, ხაშური |

საგანგებო რწმუნებული მინისტრისა ინჟენერი ივ. ყიფშიძე.
იანვარი 1919 წ. გამგე პალატის ა. რეზვიაკოვი.

# საქართველოს მამულიშვილნო!

## ახლოვდება დამფუძნებელ კრების არჩევნები

**ყოველი ქართველი მამულიშვილი ვალდებულია მხურვალე და შეგნებული მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში.**

**ჩაეწერეთ სიებში, თუ გამოტოვებული ხართ.**

დაიცავით არჩევნებში თქვენი უფლებები.

დაიცვით თავისუფლება და კანონიერება.

ექიმი

## ნიკ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ. სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად.

თ.- 25—2305

სამკურნალო კაბინეთი ექიმის

## ალექსანდრე დავითის ძე ქავთარაძე

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 4 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი. წითელ ჯვრის რენტგენოლოგის და მიხეილის საავადმყოფოს

ექიმ

## ა. ვ. ლევენშტეინისა

იღებს 10 ნახ. 1 საათამდე და 4-იდან 7-ამდე კვირა დღის გარდა. შინაგან და ქალთა ფილტვების სატკივრებისთვის. (სპეციალურად გულის, კუჭის და ქრონიკულ ავადმყოფებს ნერვიულ სისტემის და ქალურ სქესობრივ სფეროში.) რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაპრილები რიგს გარეშე მიიღებიან. კრილოვის ქ. სახ. № 5 ბინა № 3. ტელეფონი 12—46.

(თგ. 2075—4.)